საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.

№ 129 (408)

ოთხშაბათი, 15 ივლისი, 1992 წელი

ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

როცა მოსავალი გარანტირებულია

თითქმის ასი ჰექტარი დაიკავა სიმინდის ყანამ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „თავთავის" სამგორის ექსპერიმენტულ მეურნეობაში. აქ დაითესა ამ სამეცნიერო ცენტრში მიღებული ახალი ჰიბრიდული თესლი. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ პოტენციური მოსავლიანობა შეადგენს ჰექტარზე არანაკლებ ას ცენტნერს. თესლი განაწილდება რესპუბლიკის მეურნეობებსა და ფერმებს შორის.

სამგორის მეურნეობა, რომელიც მიზნად ისახავს მეურნეობებისთვის ელიტური სათესლე მასალის მოყვანას, ახლა პრაქტიკულ და მეთოდიკურ დახმარებას გაუწევს აგრეთვე ფერმებს და ცალკეულ გლეხებს.

მაღალხარისხოვანი თესლის მოყვანის გარდა აქ მუშაობენ კულტურების თესვა-მოყვანის პროგრესულ მეთოდებზეც. ეფექტიანია, მაგალითად, ბელტის გადაუბრუნებლად ნიადაგის დამუშავების მეთოდი, რომელიც წამოაყენა მეცნიერებათა კანდიდატმა ლერი ჩაჩავამ. იგი გათვალისწინებულია საქართველოს აღმოსავლეთში გავრცელებული ქარის ეროზიისგან ნიადაგის დასაცავად, რომელსაც უზარმაზარი ზარალი მოაქვს.

საგარეჯოს რაიონის სოფლების კრასნოგორსკისა და ნინოწმინდის მეურნეობებში დანერგილი ეს მეთოდი საშუალებას იძლევა შევინარჩუნოთ მიწის მცენარეული საფარის დაახლოებით 80 პროცენტი, იგი ზრდის მიწაში ტენის მარაგს და აუმჯობესებს მის სტრუქტურას.

ახლა ექსპერიმენტულ მეურნეობაში მოსავლის აღების დროა. ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტ საუკეთესო მარცვლეულს იღებენ მიწათმოქმედნი. ეს ნიშნავს, რომ გლეხები შემდგომი თესვისათვის საუცხოო თესლს მიიღებენ.

◆

ჩაის კრეფის ტემპი ნელდება

ჩაის ფოთლის კრეფაში კვლავინდებურად სამუშაოთა დაქვეითება შეიმჩნევა. როგორც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში გვითხრეს, 14 ივლისისათვის მოკრეფილი და გადასამუშავებლად ჩაბარებულია 91 ათასი ტონა მწვანე ფოთოლი.

კრეფის ტემპის შენელება ორი მიზეზით არის გამოწვეული — ამინდის პირობებითა და საერთო არასტაბილური სიტუაციით მეჩაიეობის რაიონებში. როგორც სინოპტიკოსები ვარაუდობენ, უახლოეს დღეებში დასავლეთ საქართველოში მოელიან დარიან ამინდებს, რაც შესაძლებლობას მისცემთ მეჩაიეებს რამდენადმე შეამცირონ წარმოქმნილი განსხვავება ნედლეულის დამზადებაში შარშანდელთან შედარებით. ეს განსხვავება კი ოთხმოც ათას ტონაზე მეტია.

ისე როგორც წინა დღეებში, კვლავ დაძაბულობაა გადამამუშავებელი მრეწველობისათვის მაზუთის მიწოდებასთან დაკავშირებით. ბენზინის უკმარისობა კი აფერხებს ახლად მოკრეფილი ფოთლის ტრანსპორტირებას.

პროგნოზის მიხედვით, რესპუბლიკაში უნდა მოიკრიფოს 390 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. მოსალოდნელი მოსავალი ჯერჯერობით 22 პროცენტით არის რეალიზებული.

ამ დღეებში

[illegible]
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და [illegible]
[illegible]

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში კიდევ არიან ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ საქართველოს აღმავლობა. დღეს, როდესაც ყველა წინაპირობა იქმნება, რათა საქართველო ფეხზე დადგეს, საჭიროა სრული პოლიტიკური სტაბილიზაცია

უდანაკარგოდ ავიღოთ მოწეული მოსავალი, ფეხზე დავაყენოთ სოფლის მეურნეობა!

ზარის რეკვასავით ისმოდა ყველა გამოსვლაში მთავარი აზრი — უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი!

რას არ იძლევა მადლიანი ქვემო ქართლის ბარაქიანი მიწა? ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ზუსტად აქ აღმოაჩინეს არქეოლოგებმა უძველესი ადამიანის ნაშთი. შეიძლება აქ ჩაესახა ქართველ კაცს მიწის და შრომის სიყვარული.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ქვემო ქართლი აღმოჩნდა საქართველოს რეგიონებში მთავრობის გასვლითი სხდომების პირველი ეტაპის შემაჯამებელი პუნქტი. მარნეული იყო ამჯერად მასპინძელი. თუმცა ძნელი იყო გარჩევა, ვინ იყო აქ სტუმარი და ვინ მასპინძელი. ყველას ერთნაირად აწუხებდა აღძრული პრობლემები. პრობლემების სიუხვე კი თხოულობდა მოწეული მოსავლის უდანაკარგოდ აღებას.

სჯა-ბაასი მართლაც მწვავე იყო. მართალია, საქართველოს პრემიერ-მინისტრს თენგიზ სიგუას ჰქონდა ვრცელი მოხსენება ადგილობრივ მმართველობის და ადმინისტრაციული ორგანოების ამჟამინდელ ამოცანებზე, მაგრამ მას უხდებოდა აქვე, ადგილზე გადაეწყვიტა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.

აი ერთი მათგანი:

დედაქალაქი უკეთ უნდა მომარაგდეს ბოსტნეულით და საადრეო კარტოფილით. ამ ამოცანის გადაჭრას ბევრი დაბრკოლება ელობება. ბოლნისის რაიონის „განახლების" მეურნეობის დირექტორი ზაურ კოპალიანი გულისტკივილით იძახის დარბაზიდან:

— საადრეო კარტოფილს 7-8 მანეთად ვიძლევით, წამღები კი არავინაა. — ასეთი ფაქტი მართლაც დაუშვებელია. თბილისი საადრეო კარტოფილის ნაკლებობას განიცდის, რაც იყიდება, ძვირია, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სამინისტროებმა დღესვე მოაგვარონ ეს საკითხი, — დაავალა მთავრობის მეთაურმა ამ სამინისტროთა წარმომადგენლებს.

ოცდაათ წელზე მეტია, რაც მაგარამ გახანოვი გარდაბნის მებოსტნეობის მეურნეობის თავკაცია. მისი გულისტკივილი გასაგებია:

— მოსავალი უხვია, თვალს უხარია. მაგრამ ამაოდ. პამიდორი და ბადრიჯანი ხომ მალე ფუჭდება. ჩვენ არა გვაქვს ტარა, საწვავი. თუ ჩავაღწიეთ თბილისამდე, მაღაზიები ან არ ღებულობენ პროდუქციას, ან ფულს არ გვიხდიან. რა ვქნათ, როგორ უზრუნველვყოთ თბილისელები პამიდვრითა და ბადრიჯნით?

გადაწყდა, რომ ქვემო ქართლის რაიონებისთვის — მარნეული იქნება თუ ბოლნისი, გარდაბანი თუ დმანისი — თბილისის სხვადასხვა რაიონში სასწრაფოდ გაიხსნება სპეციალიზირებული მაღაზიები, სადაც მეურნეობის მუშაკები თვითონ გაყიდიან თავიანთ პროდუქციას.

იყო ისეთი საკითხები, რომლებიც ადგილებზე თვითონ უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიეჩვივნენ იმ აზრს, რომ ყველაფრის ბატონ-პატრონები ისევე, როგორც პასუხისმგებლები, თვითონ არიან. მაგალითები მეტყველებდნენ მოუქნელობაზე, მართვის პროცესების უცოდინარობაზე და იმის იმედზე, რომ სხვა გადაწყვეტს ჩვენს პრობლემას. სხვანაირად რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მარნეული თანახმაა მიიღოს კურკოვანი ხილი ნებისმიერი რაოდენობით თავის საკონსერვო საწარმოებში გადასამუშავებლად, ხოლო ოც კილომეტრზე მდებარე მეურნეობებმა მეზობელი რაიონიდან კი არ იციან, სად წაიღონ ხილი.

საკითხები მარტო მოსავლის აღებას არ ეხებოდა. არანაკლებ მწვავე სოციალური პრობლემებიც ელოდნენ გადაწყვეტას. აი, ერთი მათგანი:

—სახლები აშენებულია, თქვა ნანა ზარნაძემ, დმანისის მეფუტკრეობის სკოლის დირექტორმა, — პატრონი კი არ ჩანს. სახლები გაპარტახებულია, მინები — ჩალეწილი, კრამიტი — ჩანგრეული. მივცეთ სახლი იმას, ვისაც სჭირდება და ვისაც უყვარს მიწა.

მისი აზრი გაიზიარეს გარდაბნის რაიონის გამგებელმა ნუგზარ მამალაძემ, მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ილია დარბაიძემ, ბოლნისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ აპოლონ წულაიამ, მარნეულის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი კიზირიამ და სხვებმა.

გადაწყვეტილება იყო კონკრეტული და სამართლიანი: აშენებული სახლი ჩამოერთვას ყველას, ვინც დღემდე მასში არ შესახლებულა, და გადაეცეს იმას, ვისაც ნამდვილად უჭირს, ვინც მიწასაც დაამუშავებს.

ზემოაღნიშნული საკითხები, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ამ თათბირზე წამოიჭრა და გადაწყდა კიდეც.

— პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ გასვლითი სხდომები გამართლებულია, — თქვა ბატონმა თენგიზ სიგუამ. — ასეთი შეხვედრების დროს რესპუბლიკის მინისტრები, ხელმძღვანელი მუშაკები უშუალოდ ხვდებიან მიწათმოქმედებს და გვეძლევა საშუალება მივიღოთ კონკრეტული გადაწყვეტილებები, განვსაზღვროთ სამომავლო ამოცანები. მაგრამ რაც გინდა მნიშვნელოვანი იყოს პრობლემა, ამოცანა თუ საკითხი, ყველაფერს მართავს პოლიტიკური სიტუაცია. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ საქართველოს აღმავლობა, დღეს, როდესაც ჰელსინკის უმაღლეს დონეზე შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყნად ცნო ცივილიზებულმა სამყარომ, როდესაც ყველა წინამძღვარი იქმნება იმისთვის, რომ საქართველო ფეხზე დადგეს, საჭიროა სრული პოლიტიკური სტაბილიზაცია.

სურათებზე: თათბირის დროს.

იოსებ დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყველამ უნდა იცოდეს, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის აღმავლობისთვის დიდძალი სახსრებია საჭირო, საჭიროა დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერა, ინვესტიციები. მრავალი სახელმწიფოს ხელმძღვანელები თუ დიპლომატები, ბიზნესმენები თუ საქმიანი წრეების წარმომადგენლები გამოთქვამენ სურვილს ყოველმხრივ ითანამშრომლონ ჩვენთან. ამავე დროს ისინი არ მალავენ, რომ სჭირდებათ თავიანთი ინვესტიციების სრული უსაფრთხოება და პოლიტიკური სტაბილურობა. ამისთვის უნდა იზრუნონ არა მარტო ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, არამედ მთელმა მოსახლეობამაც.

ამიტომ პოლიტიკურ სტაბილურობაზე გაამახვილეს ყურადღება არა მარტო შინაგან საქმეთა სამმართველოს წარმომადგენლებმა, არამედ ყველა რგოლის მუშაკებმა, მინისტრი იყო ის თუ მეურნეობის დირექტორი, გამგეობის თავმჯდომარე თუ მეურნეობის რიგითი მუშაკი.

დღეს საქართველოს ერთიანობა სჭირდება — ეს იყო დედააზრი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ნოდარ ქითანავას, ფინანსთა მინისტრის მოადგილის მირიან მურჯიკნელის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის ანზორ ქლიკაძის, მარნეულის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის ამირან შუბითიძის და სხვების გამოსვლებისა.

კრიზისული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა. აგრარული სფერო შველას ითხოვს. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით წლეულს რესპუბლიკაში სავაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობები 58 პროცენტით შემცირდა, მათ შორის მარცვლოვანი კულტურებისა — 47 პროცენტით, კარტოფილისა — 58 პროცენტით, ხოლო ბოსტნეული კულტურებისა — 54 პროცენტით. ქვემო ქართლის რეგიონში ხორბლისა და ქერის ნათესები დაიღუპა 2.200 ჰექტარზე, დაზიანებულია 3.100 ჰექტარზე ნათესი.

არასახარბიელო მდგომარეობაა მეცხოველეობაში. მნიშვნელოვნად შემცირდა რესპუბლიკაში პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და პროდუქტიულობის მოცულობა. მძიმე ვითარებაა მეცხოველეობის ისეთ რაიონში, როგორიც დმანისია; შემცირდა პირუტყვის სულადობა და ფრინველის საერთო რაოდენობა გარდაბნისა და ბოლნისის რაიონებში.

როგორც თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, ისინი ყველა ღონეს იხმარენ იმისთვის, რომ დაძლიონ სიძნელეები, გამოასწორონ მდგომარეობა და ხელი შეუწყონ ქვემო ქართლის გადაქცევას რესპუბლიკის ბეღლად.

გალინა ჩიქოვანი.

ნომერში

◉ ეკონომიკის პრობლემები უთუოდ და ოპერატიულად უნდა გადაიჭრას. 2

◉ იძულებითი პასუხი, ანუ კიდევ ერთხელ ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობებზე. 3

სამშვიდობო მისიის მიზანი ცეცხლის შეწყვეტაა

13 ივლისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრების სადღეისო პრობლემები.

ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო მისიით სამი მხარის — საქართველოს, რუსეთის და ოსეთის შეზღუდული კონტინგენტის შემოსვლასთან დაკავშირებული ღონისძიებების და მზადყოფნის საკითხებზე ინფორმაცია გააკეთა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწემ დავით სალარიძემ.

პრეზიდიუმის სხდომის მონაწილეებმა დაწვრილებით მიმოიხილეს წარმოდგენილი კომპლექსური ღონისძიებები. ცხინვალის რეგიონში ამ სამშვიდობო მისიის პოლიტიკური მოტივების გაგებაზე საუბრისას სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ყველანი დიდი პასუხისმგებლობის წინაშე ვდგავართ, რადგან საზოგადოების ნაწილს გაუჭირდა სიტუაციაში გარკვევა, რატომ შემოდის სხვა ქვეყნის ჯარი. მაგრამ, ამავე დროს, რატომ არ გვინდა გავიგოთ, რომ ცხინვალის რეგიონი უმძიმესი ტრაგედიაა ყველასთვის, რომ აქ სისხლი იღვრება, ამდენი ხალხი იღუპება.

ეს სამშვიდობო მისია მთლიანად უზრუნველყოფილია იმისთვის, რომ ამ რეგიონში შეწყდეს ცეცხლი და გზა გაიხსნას ქართველთა და ოსთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციათა აღდგენას. ერთობლივი საკონტროლო კომისია უხელმძღვანელებს ფორმირებებს, რომელთა რიგებში სრულიად ნეიტრალური ადამიანები არიან მოწვეული, რომლებსაც საერთო არა ჰქონიათ რა არც ამ კონფლიქტთან და არც ამ რეგიონთან. ჯარები დასახლებულ პუნქტებში არ განლაგდებიან და მათი იქ ყოფნის ვადაც შეზღუდულია — ორი-სამი თვე.

პრეზიდიუმის სხდომაზე ამ საკითხთან დაკავშირებით მიეცათ დავალებები შესაბამის სამსახურებს, რომლებსაც ევალებათ საქართველოს ჯარის კონტინგენტის შესაყვანად მომზადება და ეკიპირება.

14 ივლისს რუსეთის და საქართველოს ჯარების კონტინგენტები შევლენ ცხინვალის რეგიონში, ოსთა მხარე კი თავის კონტინგენტს 15 ივლისს შემოიყვანს.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე არასაუწყებო დაცვის სამსახურების სტატუსის და მისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

დღეს ყველას აწუხებს საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის სანდრო კავსაძის ბედი. სამწუხაროდ, მიუხედავად ყველა მიღებული ზომისა, ჯერჯერობით მისი ადგილსამყოფელი არ არის მიკვლეული. პრეზიდიუმის სხდომაზე სპეციალური განცხადება მიიღეს ამასთან დაკავშირებით. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია:

მიმდინარე წლის 9 ივლისს წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების საზღვარზე ჯერ დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ ავტომობილს, რომელშიც ისხდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, ერთაშორის ურთიერთობათა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე და მისი თანმხლები პირები. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ჩხოროწყუს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე კანდიდ გოგუა. ალექსანდრე კავსაძე და მისი თანამგზავრი, მძღოლი ე. მათიაშვილი კი თავდამსხმელებმა გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ჩადენილია ძალადობის კიდევ ერთი აღმაშფოთებელი აქტი, რომელიც გამოირჩევა თავხედობითა და უაზრობით იმ ტერორისტულ აქციათა შორის, ასე რომ გახშირდა ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში.

ბატონი სანდრო კავსაძე სამშვიდობო მისიით ეწვია დასავლეთ საქართველოს. იგი დაუცხრომლად იღვწის ჩვენს საზოგადოებაში სიმშვიდისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად, თავისი წვლილი შეაქვს შიდა ქართლის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში დასახულ პოზიტიურ ძვრებში. 9 ივლისსაც ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონების მშრომელებთან შესახვედრად, შეიარაღებული პირების თანხლების გარეშე ეწვია იგი რეგიონს.

მიგვაჩნია, რომ ძალადობის მეთოდების გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დაუშვებელია. იგი ხალხის ცნობიერებაში ამ ცოტა ხნის წინათ განცდილი სტრესის შედეგია, რამაც ხელი შეუწყო იარაღისა და ძალადობის კულტისადმი თაყვანისცემას, ჩვენი ყოფის მილიტარიზაციას. თუ თითოეულმა ჩვენგანმა კარგად არ გაიაზრა ის საფრთხე, რომელიც ასეთი ტენდენციების დამკვიდრებას მოაქვს, მნიშვნელოვნად შეფერხდება საქართველოს რეალური სუვერენიტეტის დამკვიდრებისა და ჩვენი ეკონომიკური აღორძინების საქმე.

დროა, დაფიქრდნენ ისინი, ვისაც ჯერ კიდევ აქვს დესტაბილიზაციისა და დესტრუქციული მოქმედების გზით არარეალური და საქართველოსთვის დამღუპველი პოლიტიკური მიზნების მიღწევის იმედი.

ტერორი, კონფრონტაცია, შეიარაღებული დაპირისპირება, ხალხის მძევლად აყვანა უნდა გამოირიცხოს ჩვენი ყოველდღიურობიდან.

გვჯერა, რომ იმათ შორისაც, ვინც მოამზადა და განახორციელა ეს ბანდიტური აქტი, არიან გონიერი ადამიანები, რომლებიც შეიგნებენ ასეთი აქციების სრულ უპერსპექტივობასა და უშედეგობას, დაუყოვნებლივ გადადგამენ კონკრეტულ ნაბიჯებს ს. კავსაძისა და ე. მათიაშვილის გათავისუფლებლად.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საარჩევნო დებულების თანახმად, რომელიც ითვალისწინებს უკვე რეგისტრირებული პარტიების ბლოკებად გაერთიანებას, 14 ივლისის სხდომაზე რეგისტრაციაში გაატარა შემდეგი საარჩევნო ბლოკები:

1. „მშვიდობა" (ბლოკში გაერთიანდნენ საქართველოს დემოკრატიული კავშირი და საქართველოს სამართლიანობის პარტია);
2. „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა კავშირი" (ბლოკში გაერთიანდნენ საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირი);
3. „თავისუფლება" (ბლოკში გაერთიანდნენ ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია და საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი).

გულთბილი შეხვედრა

საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამარჯვებულ ქართველ მოჭადრაკეთა პატივსაცემად ჩაის სახლში შეიკრიბნენ ქალთა საბჭოს წარმომადგენლები, რომლის წევრებიც თვითონ მოჭადრაკეები არიან. მათ მიესალმნენ ზინაიდა კვაჭაძე, პროფესორი მზექალა შანიძე, მომღერალი ნანი ბრეგვაძე, მსახიობი დოდო ჭიჭინაძე და სხვები...

ნონა გაფრინდაშვილმა მოჭადრაკეების სახელით მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის. მან აღნიშნა: „უაღრესად ბედნიერები ვართ, რომ ჩვენმა მოპოვებულმა ოქრომ გული გაუხარა სამშობლოს. ახლა, როცა საქართველო განსაცდელშია, მას ყველაზე მეტად სჭირდებოდა ეს გამარჯვება".

შეხვედრაზე გუნდი დააჯილდოვეს საპატიო სიგელებით, ყვავილებითა და წიგნებით.

შემოდგომაზე ჩვენი მოჭადრაკეები მიიღებენ მონაწილეობას პრეტენდენტთა ტურნირში მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაზე.

სიტყვა—სახელმწიფო საბჭოს წევრს

ეროვნული დამოუკიდებლობა:

ოპტიმალური გზა

როგორ ვუშველოთ საქართველოს?

გურამ მუჩაიძე,
სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე,
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი.

საბჭოთა კომუნისტური იმპერიის დაშლით და ბ-ნ ე. შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებით ქართველ ერს რეალურად წარმოუდგა წინ თავისი ეროვნული ბრძოლის მიზანი — 1918 წლის 26 მაისს მოპოვებული დამოუკიდებლობის სრული აღდგენა. მაგრამ მიზნის ნათლად წარმოჩენა მებრძოლი ხალხისათვის საკმარისი არ არის. ასევე ნათლად უნდა გაერკვეს იგი თავისი ბრძოლის გზასა და საშუალებებში.

ცნობილია, რომ ერზე თავდასხმის შემთხვევაში მისი პირდაპირი თავდაცვის საშუალება არის შეიარაღებული წინააღმდეგობა, ომი, მაგრამ რა გზას უნდა დაადგეს ხალხი, რომელიც ასეთი ომიდან გამოვიდა და განმარტოებული დარჩა? რა ფორმით უნდა განაგრძოს მან ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას მხედველობაშია მისაღები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მსოფლიო გამოცდილება, რომელიც ცხადყოფს: (ა) პატარა ერი, რომლის თავისუფლება არავის ესაჭიროება, სხვისი გავლენის ქვეშ რჩება; ბ) ყველა პატარა სახელმწიფო ცალკე არსებობს ამა თუ იმ დიდი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის შემწეობით; გ) ვერც ერთი პატარა ერი თავს ვერ გაითავისუფლებს დიდისაგან მხოლოდ საკუთარი ძალით.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჩაგრულ ერთა ბრძოლის ფორმები მრავალგვაროვანია. ამ მრავალგვაროვნობაში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი მეთოდი: ევოლუციური და რევოლუციური. პირველი გულისხმობს ბრძოლას რეფორმების გზით, დაყრდნობილს ერის დემოკრატიული შეგნების განვითარებასა და მჩაგვრელი სახელმწიფოს ფარგლებში პროგრესულ ძალებთან თანამშრომლობაზე. მეორე გზა კი გულისხმობს ბრძოლას დაუმორჩილებლობის წესით, მჩაგვრელ სახელმწიფოსთან კონფრონტაციას, სამხედრო ფორმირებების შექმნას, შეიარაღებულ წინააღმდეგობას, უცხოეთის სამხედრო დახმარებაზე ორიენტაციას.

ამ ორი მეთოდიდან რომელია ჩვენი ქვეყნისათვის მისაღები და ხელსაყრელი?

რა თქმა უნდა, ჩვენ დაპყრობილი ერი ვართ და, აქედან გამომდინარე, გვაქვს უფლება იარაღით ხელში შევებრძოლოთ დამპყრობელს. ასეთი ომი ჩვენ კიდევაც წამოვიწყეთ 1924 წელს. მაგრამ, საუბედუროდ, დავმარცხდით. დღესაც ჩვენი და რუსეთის იმპერიული ძალები იმდენად უთანასწოროა, რომ ამ გზით თავისუფლების მოპოვება არ შეგვიძლია.

გარედან სამხედრო დახმარების იმედიც გამორიცხულია. პატარა ერის გამო მოსკოვთან კონფრონტაცია დასავლეთის არც ერთ ქვეყანას არ აძლევს ხელს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამშეული რუსეთის დახმარება და მასში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა დასავლეთის ინტერესებში შედის.

ამასთან ანგარიშგასაწევია ის, რომ პატარა ერის გამორჩეული პიროვნებების ავტორიტეტს და პოპულარობას მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი ფაქტორის როლი აკისრია. საგარეო „პოლიტიკაში, — აღნიშნავდა ნოე ჟორდანია,— ის მიიღწევა მკვიდრი და საფუძვლიანი, რომელიც აგებულია ინტერესზე, რეალურ სარგებლობაზე. ყველაფერი ის, რაც კეთდება ინტერესის გარეშე, ხათრით, პროტექციით, სიმპატიით, წარმავალია, უძირო მცენარეა".

გავიხსენოთ, რა თავდაჭერილობას იჩენდა ევროპა 1918 წელს ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარების საქმეში. დიდი გაჭირვებით მივიღეთ ფაქტობრივი ცნობა და მხოლოდ სამი წლის განუწყვეტელი მეცადინეობის შემდეგ მოვიპოვეთ

(დასასრული მე-2 გვ.).

სიტყვა — სახელმწიფო საბჭოს წევრს

ეროვნული დამოუკიდებლობა:

ოპტიმალური გზა

როგორ ვუშველოთ საქართველოს?

გურამ მუჩაიძე,
სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე,
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი.

(დასასრული)

იურიდიული ცნობა. ამასთან, ევროპის ქვეყნებმა ასეთი ცნობა მოგვცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარა თვით ბოლშევიკურმა რუსეთმა. მხოლოდ ამით დაიძლია ჩვენს საკითხში ევროპის სახელმწიფოების ყოყმანი.

უნდა ჩავუფიქრდეთ იმ გარემოებასაც, რომ 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო ევროპის არც ერთ სახელმწიფოს არა თუ სამხედრო დახმარება არ გაუწევია, ოფიციალური პროტესტიც კი არ განუცხადებია.

ასეთია პატარა ერის ხვედრი, რის გამოც მას მოეთხოვება თავისუფლებისათვის ბრძოლის მოქნილი ფორმების ძიება. მართალია, დღევანდელ მსოფლიოში სულ სხვა ვითარებაა, მაგრამ ერთაშორის ურთიერთობებში სუსტისა და მძლავრის კანონი მოდიფიცირებული სახით მაინც კვლავ ძალაშია.

ამიტომ დღესაც ყურადსაღებია ის, თუ როგორ მოქნილად მოქმედებდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც, ეროვნული საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ნიკოლოზ მეორეს საჯაროდ ერთგულებას ეფიცებოდა. იგი წერდა: „სასოებით ვეგებებით ჩვენთვის და მთელი რუსეთისათვის დიდებულ დღეს და ერთგული ქვეშევრდომობის გრძნობით ღმერთსა ვსთხოვთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი საყვარელის იმპერატორისას საბედნიეროდ და საახაოდ ჩვენდა“. 1901 წელს „ივერია“ წერდა: „ქართველს უნდა ჰქონდეს გარკვეული პროგრამა. ასეთი პროგრამა გვაქვს. პირველი მუხლი: ქართველობა აღიარებს თავის მტკიცე ერთობას და ერთგულებას რუსეთისას და ჩვენი სახელმწიფო იმპერატორისას“.

რუსეთთან ლოიალური დამოკიდებულების აღიარების გზით ქართველი ერის ინტერესების დაცვა — ასეთი იყო დიდი ილიას გზა, რომელიც დღესაც მისაღებია და მას უნდა მივდიოთ თანამიმდევრულად.

სამწუხაროდ, ჩვენს დროში აღორძინებული ქართული ეროვნული მოძრაობის რადიკალურმა ფრთამ არ გაითვალისწინა ისტორიული გაკვეთილები და თანამედროვე რეალიები, უარყო ბრძოლის ევოლუციური მეთოდი და აირჩია კრემლთან კონფრონტაციის, ეროვნული დაუმორჩილებლობის გზა.

ეროვნულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა იწყეს შეიარაღებული ფორმირებების შექმნა. სტიქიურ თუ ორგანიზებულ მიტინგებზე დგებოდა რეზოლუციები, რომლებშიც უცხოეთის ქვეყნებს მოუწოდებდნენ სამხედრო დახმარებისაკენ.

ამ საშიშ, ავანტიურისტულ გეგმებს გაბედულად წინ აღუდგნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. ისინი მოთმინებით განუმარტავდნენ ხალხს, რომ კრემლისათვის მხოლოდ პასიური წინააღმდეგობა დაეპირისპირებინათ და მთელი ძალები მიემართათ აქტიური საპარლამენტო ბრძოლისაკენ, საბჭოთა იმპერიის დემოკრატიულ ძალებთან თანამშრომლობისაკენ.

უკიდურესად რთული იყო მასობრივი ფსიქოზისა და ეროვნული ეიფორიის პირობებში იმის ქადაგება, რომ დამოუკიდებლობა ხელის ერთი დაკვრით არ მოიპოვება. ძნელი იყო ნაციონალისტური ვნებით აღტკინებული მასისათვის იმის ახსნა, თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა ერისათვის კრემლთან კონფრონტაცია და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

ეროვნული ორგანიზაციების მიერ გაშლილი ლანძღვა-გინებისა და მუქარის მიუხედავად ქართველი სოციალ-დემოკრატები ურყევად იდგნენ თავიანთ პოზიციებზე, კვლავინდებურად მოუწოდებდნენ მასებს გამოფხიზლებისა და ბრძოლის ევოლუციური გზისაკენ.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დიდი ზეგავლენა იქონია მასობრივ ცნობიერებაზე. ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის მნიშვნელოვანმა ნაწილმა თანდათანობით შეცვალა ორიენტაცია და დაადგა პარლამენტური ბრძოლის გზას. სულ მალე, 1990 წლის მიწურულს, ეს ძალები, „მრგვალი მაგიდის“ ბლოკში გაერთიანებულნი, ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ.

ახალმა პარლამენტმა მიიღო კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ეტაპობრივი, ევოლუციური გზით. ეს ფრიად მისასალმებელი მოვლენა იყო.

მაგრამ, სამწუხაროდ, იმის გამო, რომ „მრგვალი მაგიდის“ ძირითადი მასა ლუმპენს შეადგენდა, იმძლავრა ოხლოკრატიულმა ფსიქოლოგიამ და ხელისუფლება კვლავ დაუბრუნდა ბრძოლის ძველ, ექსტრემისტულ გზას. ამას მოჰყვა ეთნოკონფლიქტები, უკიდურესი კონფრონტაცია კრემლთან, დაპირისპირება ინტელიგენციასა და ოპოზიციასთან, მეურნეობის გაპარტახება, სოციალური დაძაბულობის ზრდა.

შედეგად მივიღეთ ის, რომ იმ დროისათვის, ფაქტობრივად, მოიშალა თავისუფლების მოსაპოვებლად ესოდენ საჭირო წანამძღვრები.

„მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკოსთა შეცდომებზე დაყრდნობით კრემლმა ისეთი ლაგამი ამოგვდო „აფხაზურ-ოსური“ კოზირების ამოქმედებით, რომ დღის წესრიგში დადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საკითხი. ამ გარემოებამ „მრგვალი მაგიდა“ ჩიხში მოაქცია და ხელისუფლებას ჩამოაშორა.

სად არის გამოსავალი?

ყველა ადრე არსებული იმპერიისაგან განსხვავებით, საბჭოთა იმპერიაში შემავალი ხალხები ისე არიან ეკონომიკურად ურთიერთგადანასკვული და ინტეგრირებული, რომ მათი ერთმანეთისაგან უცაბედი განცალკევება თითოეულისათვის კატასტროფას მოასწავებს. ითვალისწინებენ რა ამას, ქართველი სოციალ-დემოკრატები თვლიან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ხელის ერთი მოსმით, დეკლარაციების მიღებით შეუძლებელია. ეს არის რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოითხოვს შესაბამისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური წანამძღვრების შემზადებას.

საქართველო მრავალი ქვეყნის ინტერესების სფეროში შედის. მათგან მხოლოდ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მეზობელ სახელმწიფოებს აქვთ აქ განსაკუთრებული ინტერესები. ამ ქვეყნების ინტერესების ბალანსირების გზით საქართველოს ბუფერად გადაქცევის პერსპექტივა ნაკლებად რეალურია, რადგან ძალთა თანაფარდობა ჩრდილოეთის მეზობლის — რუსეთის მხარეზეა. ამიტომ ევროპაზე, კერძოდ, გერმანიაზე სტრატეგიული ორიენტაციის პირობებში საქართველომ საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობას უნდა მიანიჭოს.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ურთიერთსარგებლიანობის პრინციპს. ჩვენი ქვეყანა რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში შედის. ამ ინტერესებს ანგარიში უნდა გაეწიოს და ისინი უნდა დავაკმაყოფილოთ, რა თქმა უნდა, თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით. ამავე დროს რუსეთმაც ანგარიში უნდა გაუწიოს და დააკმაყოფილოს ქართველი ერის ნაციონალური ინტერესები. მხოლოდ ასე შეიძლება საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ცივილიზებული სისტემის შექმნა.

ყველაზე უმტკივნეულოდ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელია ყოფილი საბჭოთა იმპერიის ნამსხვრევებზე ერთაშორისი ურთიერთსარგებლიანი სტრუქტურების შექმნით. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა უხერხემლო წარმონაქმნია. იგი იშვა სასახლის გადატრიალების შედეგად, რომელიც მიმართული იყო მ. გორბაჩოვის წინააღმდეგ. ამიტომ მას პერსპექტივა არ აქვს. მის ნაცვლად უპრიანია ჩამოყალიბდეს ყოფილი საბჭოთა იმპერიის სუბიექტების ისეთი ღია ალიანსი, რომელიც გაეროს ტიპის გაერთიანება იქნება თავისი მრავალეროვანი სამდივნოთი, გენერალური მდივნის მეთაურობით და სხვადასხვა მიმართულების სამუშაო საკოორდინაციო ორგანოებით. ამ გაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოები უმტკივნეულოდ შეძლებენ ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის ბაზაზე საფუძვლიანად განიმტკიცონ მოპოვებული დამოუკიდებლობა. ამიტომ შეცდომა იქნებოდა ამ საქმისაგან განზე გადგომა და იზოლირებულად იმპერიული უღლის მემკვიდრეობისაგან თავის დაღწევის მცდელობა. სასურველია ჩავერთოთ ამ პროცესში და დინჯად მივყვეთ მას, ნაბიჯ-ნაბიჯ განვამტკიცოთ ქართველი ერის სუვერენიტეტი.

რა თქმა უნდა, ბევრი სიძნელე და დაბრკოლება ახლავს ამ გზას, და ჩვენ არ უნდა დავუმალოთ ხალხს საქმის ვითარება, მაგრამ ძლიერი მხარე ჩვენი საქმიანობისა ისაა, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობით მყარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბაზას შევქმნით ჩვენი სანუკვარი მიზნის — მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების წიაღში ქართველი ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მისაღწევად.

ვისი მითითებით ეძლევათ „მწვანე გზა“?..

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ფრაქციის — „დემოკრატიული აფხაზეთის“ წერილი გაზეთ „რესპუბლიკა აბხაზიას“ მთავარ რედაქტორს ვ. ჩამაგუას

თქვენდამი რწმუნებული გაზეთი — აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ორგანო — კვლავ აქვეყნებს მასალებს, რომლებიც ხშირად შეიცავს შეურაცხმყოფელ გამოხდომებს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამაზ ნადარეიშვილის მიმართ. გაზეთი მიზანდასახულ კამპანიას ეწევა მისთვის სახელის გასატეხად. მისი მისამართით გაისმის უსაფუძვლო ბრალდებანი, მას აწებებენ ყოველგვარ იარლიყებს. დამახასიათებელია, რომ ამასთანავე გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებში, როგორც წესი, არ არის მოყვანილი არავითარი არგუმენტები, დამამტკიცებელი საბუთები (ეს გასაგებიც არის, ვინაიდან ამ ბრალდებებს არავითარი საფუძველი არა აქვს). სამწუხაროდ, ამ უღირსი კამპანიის მთავარი იარაღი გახდა სისტემატური სახელის გატეხა და დაუფარავი ცილისწამება. სხვათა შორის, გაზეთის ხერხები სულაც არ არის ახალი. მათ იყენებდა ბოლშევიკური პროპაგანდა, როცა წარმოიშობოდა იმის საჭიროება, რომ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, მოთმინებიდან გამოეყვანათ კონკრეტული პიროვნება, გადაექციათ იგი ოდიოზურ ფიგურად, რათა ამრიგად ჭკუა ესწავლებინათ სხვებისთვის, რომ მათ არ ჰქონოდათ თავიანთი საკუთარი აზრი. ჩვენ შესაძლებლად და საჭიროდ არ მიგვაჩნია ჩავებათ უნაყოფო კამათში ამგვარი საყოველთაოდ ცნობილი ცილისმწამებლური, ზოგჯერ, როგორც ცნობილი გახდა, ანონიმური პასკვილების მთხზველებთან, რადგან ჩვენი ურყევი რწმენით, კამათი შეიძლება მხოლოდ პატიოსან ავტორებთან, რომლებიც კონსტრუქციულ კრიტიკას და საქმიან წინადადებებს გამოთქვამენ.

შევნიშნავთ, რომ სწორედ თქვენს გაზეთში იგრძნობა ამგვარი კრიტიკული მასალების მწვავე დეფიციტი. შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეიქმნას, რომ ავბედითი პუბლიკაციები, რომლებიც ხელს არ უწყობენ სიტუაციის შერბილებას, დაწყებული მოლაპარაკების ნორმალურ მსვლელობას, ინსპირირებულია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში იმათ მიერ, ვისაც ხელს არ აძლევს ვითარების სტაბილიზაცია. ამ აზრს ბადებს ის გარემოებაც, რომ „ზემოდან“ უნებართვოდ თქვენი გაზეთის ფურცლებზე ადგილს ვერ პოულობს როგორც ზოგიერთი დეპუტატის, ისე აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და, ასე განსაჯეთ, დეპუტატთა ფრაქციის „დემოკრატიული აფხაზეთის“ განცხადებანი.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა თქვენგან მივიღოთ პასუხი შემდეგ კითხვაზე: ვისი მითითებით ეძლევა „მწვანე გზა“ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ოფიციალური ორგანოს ფურცლებზე ქართველი დეპუტაციისთვის შეურაცხმყოფელი ხასიათის მასალებს? ვისი ბრძანებით ეწევა „რესპუბლიკა აბხაზია“ ესოდენ თავგამოდებით, მიზანდასახულად და ტლანქად ანტიქართულ, ანტიდემოკრატიულ პროპაგანდისტულ კამპანიას?

ჩვენ ისიც ძალიან გვაინტერესებს, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ გაზეთმა „რესპუბლიკა აბხაზიამ“ დაიცვას ჟურნალისტური და ადამიანური ეთიკის ელემენტარული ნორმები, თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს პლურალიზმის პრინციპებით და შეწყვიტოს „ცალ კარში თამაში“. ბოლოს და ბოლოს, ალბათ, დადგა დრო შეწყდეს პარლამენტის აფხაზური ნაწილის აზრის გასაღება მთელ საზოგადოებრივ აზრად.

მხარს უჭერენ დემოკრატიულ კავშირს

საქართველოს სამართლიანობის პარტიის განცხადება

სახელმწიფო საბჭოს ძალისხმევით საქართველომ თავი დააღწია მომაკვდინებელ მსოფლიო იზოლაციას და მეთოდურად იმკვიდრებს ადგილს ცივილიზებულ სამყაროში.

ამ ისტორიული პროცესის შეუქცევადობა დამოკიდებულია ეროვნულ თანხმობაზე, მტკიცე სტაბილიზაციაზე, სახელმწიფო საბჭოსადმი საქართველოს მთელი მოსახლეობის მხარდაჭერასა და თანადგომაზე, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე. ღმერთის ნებით დადგა დრო, როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნა დამოკიდებულია არა საგარეო, არამედ საშინაო ფაქტორებზე, ე. ი. საქართველოს დასამარება შეუძლია მხოლოდ საკუთარ შვილთა სულმოკლეობას. უფალმა მწარე გამოცდის წინაშე დაგვაყენა, და იგი წარმატებით უნდა ჩავაბაროთ. სხვა შემთხვევაში უბედურება გარდაუვალია. ხელიდან ნუ გავუშვებთ ისტორიულ შანსს! ვინ იცის, იქნებ უკანასკნელი გამოცდაა ჩვენი.

შინაპოლიტიკური ვითარება, რომელიც აღსავსეა კოლიზიებით, გვიკარნახებს, რომ მხარი დავუჭიროთ დემოკრატიული კავშირის ინიციატივას — სახელმწიფო საბჭოსადმი სახალხო ნდობის საჯაროდ გამოხატვასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას. რეფერენდუმის ჩატარება მომავალ საპარლამენტო არჩევნებს კი არ გამორიცხავს, არამედ პირიქით, მისი გარანტი იქნება. ხელს შეუწყობს ეროვნული ძალების კონსოლიდაციას. სახელმწიფო საბჭოს მიანიჭებს სახალხო უფლებამოვალეობას და ფართო გზა მიეცემა გრანდიოზულ რეფორმებს, რომლის მიზანია დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს აშენება.

საქართველოს სამართლიანობის პარტიის მთავარი კომიტეტი.

სახალხო ფრონტი:

პოზიცია პრინციპულია

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა იყოს არც ერთი შეიარაღებული ფორმირება, გარდა პოლიციისა და შინაგანი ჯარის ნაწილებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობაში იქმნება ძლიერი ნეგატიური მუხტი, რამაც ადვილი შესაძლებელია მოამწიფოს ისეთი პოლიტიკური ჯგუფებისა და ლიდერების წარმოშობა, რომლებსაც ექნებათ საქართველოს გახლეჩის იდეა. ამ პროცესს ხელოვნურადაც შეუქმნიან პირობებს ყოფილი იმპერიის კვლავინდებურად ძლიერი საიდუმლო სამსახურები.

ამის სერიოზული საფრთხე ნამდვილად არსებობს, — ეს განაცხადა საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ პრესკონფერენციაზე, რომელიც შიდა ქართლისა და, საერთოდ, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს მიეძღვნა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო შიდა ქართლში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებს, ბატონმა ნ. ნათაძემ, როგორც ცხინვალის რეგიონის პრობლემათა მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ, შეკრებილთ გააცნო თავისი პრინციპული პოზიცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით. მისი აზრით, კონფლიქტის რეგულირების საქმეში სრულიად უნდა აღიკვეთოს რუსეთის, როგორც დაინტერესებული მხარის, ყოველგვარი მონაწილეობა.

ბატონმა ნოდარ ნათაძემ უპასუხა ჟურნალისტებისა და პრესკონფერენციის მონაწილეთა შეკითხვებს, რომლებიც საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს შეეხებოდა. აღინიშნა, რომ საქართველოს სახალხო ფრონტი ამიერიდან რეგულარულად გამართავს ანალოგიურ შეხვედრებს.

მაია ალუდაური.

როგორ გავხდეთ ბიზნესმენი?

სიტყვა „ბიზნესი“ ქართულად „საქმეს“ ნიშნავს, მაგრამ ბიზნესი ნებისმიერი საქმე კი არა, მხოლოდ ის არის, რომელსაც მოსდევს ფინანსური წარმატება, მოგება და შემოსავალი. ამაზეა ლაპარაკი ეკონომიკური ლიტერატურის მთელ რიგ უახლეს გამოცემებში, რომლებიც საჯაროდ არის გამოფენილი საქართველოს თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ერთ-ერთ სტენდს ეწოდება „პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი საქმიან ადამიანებს“. ეს მართლაც საყურადღებო რჩევა-დარიგებანია. მათ იძლევიან ამ წიგნების ავტორები, რომლებშიც გაანალიზებულია ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების წამყვანი ფირმების გამოცდილება. ისინი ეხება თანამედროვე მარკეტინგს, სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასებას, საწარმოო ორგანიზაციათა კონკურენტუნარიანობისა და ხელმძღვანელთა შრომის ანაზღაურების ზრდას.

პრობლემა

100 მილიონს მოგცემ, ოღონდ...

თანამედროვე საწარმო თუ გინდათ იხილოთ, სამკერვალო ფაბრიკა „კოლხეთს“ ეწვიეთ, მითხრეს ამას წინათ მრეწველობის სამინისტროში. ახლაც ვიცოდი, ამ ორი წლის წინათ ფაბრიკა, რომ იტყვიან თავით ფეხამდე, განაახლეს. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო 7 მილიონი დოლარის უცხოური მანქანა-დანადგარები შემოიტანეს და დაამონტაჟეს. მთლიანად შეიცვალა ტექნოლოგია, დიზაინი, ასორტიმენტი, რაღა თქმა უნდა, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხიც. ესენი ტანსაცმლის გამოშვებას ვერ აუდიოდნენ, მომხმარებელი კიდევ ყიდვას.

მეგონა ახლაც ასე იქნებოდა. ვიფიქრე, შევივლი ფაბრიკაში, გავეცნობი მათს გამოცდილებას და სხვებსაც გავუზიარებ, იქნებ ამ არეულ ცხოვრებაში ვინმეს რამეში წაადგეს-მეთქი. თურმე შევცდი. ვალერიან გეგიძე, საქმისთვის მუდამ შემართული, ფხიანი და გერგილიანი თავკაცი, რატომღაც ყურებჩამოყრილი მეჩვენა. მიზეზი ვკითხე.

— მხიარულად როგორ ვიქნები, — მეუბნება იგი, — როცა ცხოვრება არაფერს სასიკეთოს არ გვიქადის? მინდა კარგად გამიგოთ ეს სიტყვები. პესიმისტი არასოდეს ვყოფილვარ, ახლაც ერთავად იმის ცდაში ვართ, საქმე როგორმე წინ წავწიოთ, კოლექტივმაც იცხოვროს და სახელმწიფოსაც რამე ვარგოთ, მაგრამ არ გამოგვდის.

— რატომ?

— ვერა და ვერ შეიქმნა მუშაობის პირობები და იმიტომ. კი, ბატონო, თავისუფლები ვართ, სახელმწიფო აღარც გეგმას გვაძლევს, აღარც ნედლეულს და აღარც პროდუქციის ფასს გვისაზღვრავს, მაგრამ განა იმას ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკა დავამკვიდრეთ და მალე ყველანი ნანატრ ცხოვრებას ვეწევით? უხეშ მაგალითს მოგიყვან: წლობით ბოსელში ნამყოფი პირუტყვი რომ გარეთ გამოუშვა და საძოვარი არ მისცე, ჭიქანში რძეს საიდან მოიყენებს? ადამიანიც ასეა, თუ სამუშაო პირობები არ შეუქმენი, ვერც თავის თავს არჩენს და ვერც ხაზინას შემატებს რამეს.

ჩვენ იმას კი არ ვწუწუნებთ, რომ ცენტრალიზებული მომარაგება მოისპო და საშოვარზე გასვლა გვეზარება. უბრალოდ, ნედლეულს ვერსად იშოვით — ვერც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და ვერც ბირჟაზე. რუსეთიდან, საიდანაც ადრე მასალების 80 პროცენტს ვიღებდით, მეშვიდე თვეა ერთი კონტეინერიც არ მიგვიღია. ამაში, რა თქმა უნდა, საბლოკადო პოლიტიკაც ურევია, მაგრამ იქ... დღეს ისეთი ანარქიაა, ხშირად, სურვილიც რომ ჰქონდეს, ნედლეულს მაინც ვერ მოგვცემს.

მხედველობაში მაქვს რეალური სურათი. საფეიქრო გიგანტი-ქალაქი ივანოვო მთლიანად გაჩერებულია, დგანან მოსკოვის სანედლეულო საწარმოებიც. შუა აზიის რესპუბლიკები კი, კარგად მოგეხსენებათ, ვალუტას დახარბდნენ და ყველაფერს საზღვარგარეთის ბაზრებზე ჰყიდიან.

— თქვენს პროდუქციასაც ალბათ ამიტომ უკიდია ცეცხლი. იყიდება მაინც?

— რა დასამალია. აღარ იყიდება. პროდუქცია ასე ვთქვათ, გაიყინა.

— თანაც შუაგულ ზაფხულში?

— კარგია, რომ სახუმაროდ გვაქვს საქმე და არა ტრაგედიასთან, რომელშიც ჩვენთან ერთად იმათაც მიუძღვით წვლილი, ვინც დამატებული ღირებულებიდან 28 პროცენტი გადასახადი შემოიღო. ამას მივუმატოთ სავაჭრო ორგანიზაციისთვის მიცემული უფლებაც — თავის მხრივ კიდევ 30 პროცენტამდე გაზარდოს საქონლის ღირებულება და გასაგები გახდება, რატომ გაიყინა პროდუქცია...

ანუ მარყუჟი, რომელსაც მეთოდურად უჭერენ ყელში საწარმოს

— ესეც არ იყოს, ვამატებ მე, მომხმარებლის ჯიბე უძირო ხომ არ არის? მით უფრო დღეს, როცა სახელმწიფოს მიერ მიცემული გროშები საკვებადაც არ ჰყოფნის, ჩასაცმელზე როგორღა იზრუნოს?

გაიყინა ნედლეული, პროდუქცია, გაიყინა შემოსავალიც. ეს უკვე კატასტროფის ტოლფასია. რა თქმა უნდა, კარგია, როცა ანგარიშობენ დამატებული ღირებულების 28 პროცენტის და მოგების 35 პროცენტის გადასახადით სახელმწიფო ხაზინა რა შემოსავალს მიიღებს, მაგრამ, ვფიქრობ, არც იმის ანგარიში უნდა იყოს ძნელი, რა შედეგს უქადის იმავე ხაზინას რესპუბლიკის საწარმოთა გაკოტრება.

რა ქნას ასეთ შემთხვევაში ფაბრიკამ, როცა ეუბნებიან, საბაზრო ცხოვრებით იცხოვრეო, ბაზარი კი ფაქტობრივად არ არის? ისევ რუსეთში ხომ არ ეძებოს მომხმარებელი? რატომაც არა, მაგრამ, რომ არც იქ მოემართათ ხელი? 50 მილიონი მანეთის პროდუქცია გაიგზავნა რუსეთში, მაგრამ უკან კაპიკიც არავის გამოუგზავნია. იქაურ პარტნიორებს დღეს იმდენი ვალი აქვთ წამოკიდებული, აღარც ნედლეულის მომწოდებლად ვარგანან და აღარც პროდუქციის გამსაღებლად. ეტყობა თბილისელმა მკერავებმა სხვა პარტნიორი და სხვა ბაზარი უნდა ეძებონ.

არც ამისთვის დაუკლიათ ხელი. მეზობელი თურქეთის ერთ-ერთ ფირმასთან გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ისინი კისრულობენ შესაკერი ნახევარფაბრიკატების გამოგზავნას, ესენი კი შეკერვას და მზა პროდუქციის პარტნიორისთვის ჩაბარებას. როგორც ბატონმა ვალერიანმა მითხრა, ასეთი გარიგება თბილისელთათვის ხელსაყრელია. პაკეტებში, რომლებსაც იქიდან ღებულობენ, არის შესაკერი ქსოვილიც, რეზინიც, ღილიც და სხვა საჭირო ნიშნებიც. შეკერვა კი არ გაუჭირდებათ, რადგან დანადგარებიც შესანიშნავი აქვთ და პროფესიონალი მკერავებიც საკმაოდ ჰყავთ.

სად გაიყიდება პროდუქცია? ამერიკაში. თურქები შეკერვის ღირებულებას კონვერტირებული ვალუტით აანაზღაურებენ. არის სხვა სახის მოლაპარაკებაც გერმანიისა და იტალიის ცალკეულ ფირმებთან. ვნახოთ.

უცხოური ვალუტა, სწორედაც რომ, ჰაერივით სჭირდება საწარმოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ 7 მილიონის მანქანა-დანადგარებს, საზღვარგარეთიდან რომ შემოიტანეს, უბრალოდ მოვლა-პატრონობა, შეკეთება, სათადარიგო ნაწილები სჭირდება, ფაბრიკას კი ამის თავი არა აქვს. არადა, თუ ერთი და ორი თვე გაჩერდა, მერე ძნელადღა მოევლება საქმეს.

— ასეთ დროს, ვეუბნები დირექტორს, ხომ შეიძლება ბანკი მოიხმაროთ?

— რატომაც არა, თუ მოგვეხმარა. მაგრამ როცა მოხმარების მაგივრად ყელში თოკს გვიჭერენ, გვატყავებენ, რა გულით მივიდეთ ბანკში? ეს სიტყვები განაწყენებული კაცის გამოხდომად რომ არავინ ჩამითვალოს, კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან. დღეს არც ერთ საწარმოს არ შეუძლია ანგარიშსწორების კრედიტის გარეშე მუშაობა. ეს იციან და, როგორც ვთქვი, ყელში გვიჭერენ. ადრე კრედიტში 4 პროცენტს გვახდევინებდნენ, შემდეგ 6 პროცენტს, 15 პროცენტს, 25 პროცენტს. ახლა ესეც არ იკმარეს და 60 პროცენტს გვთხოვენ.

კი, ბატონო, ინებეთ 100 მილიონს მოგცემთ, გვეუბნებიან, მაგრამ აქედან 60 მილიონი ჩვენ უნდა დაგვრჩესო. მითხარით, ეს ხომ აშკარა ყაჩაღობაა, თანაც დღისით, მზისით, თოფით. მე გთხოვთ ჩემი სიტყვები ასევე გამოაქვეყნოთ, უცვლელად და შეულამაზებლად. არც მეტი, არც ნაკლები. ეს ნიშნავს განგებ შექმნა პირობები იმისა, რომ საწარმო გაჩერო...

* * *

ვერაფრით ვანუგეშე საწარმოს თავკაცი, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ერთი ძველებური სიბრძნე კი გამახსენდა: ქათამი წყალს რომ დალევს, ღმერთს შეხედავსო. ვერ გამიგია, დღეს, როცა საქართველო მეორედ აპირებს ქრისტეს რჯულზე მოქცევას, ბანკი ურჯულოდ რატომ უნდა იქცეოდეს?

ამას რომ ვამბობთ, იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ბანკმა ფული არ აკეთოს. არა, ბანკი იმისაა, ფულისგან ფული აკეთოს, თვითონაც ისარგებლოს და ხაზინასაც სარგებელი მისცეს, მაგრამ ამას ხომ რაღაც ცივილიზებული ნორმები უნდა ასაზრდოებდეს? თუ იმისგან, რასაც კრედიტად მომცემს, ბანკმა ნახევარზე მეტი თვითონვე წაიღო, მე რით რა გავაკეთო, ან ვალი რით გავისტუმრო და ან თავი რით ვირჩინო?

საერთოდაც, დღესდღეობით საწარმო ხელისუფლების, ბანკის თუ სხვათა მხრიდან ისეთ წნეხში ექცევა, რომ საეჭვოა მან არსებობის უფლება დაიმკვიდროს. თუ ასე გაგრძელდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ არ განვითარდება ცხოვრება, არ გაჯანსაღდება ეკონომიკა. ნუთუ ვერ ვხედავთ, ქვეყანა წალეკა კომერციულ მაღაზიებსა და ჯიხურებში მოკალათებულ გადამყიდველ-სპეკულანტთა „ბიზნესმა“, საბაზრო ეკონომიკის ნამდვილი გმირი — მეწარმე კი ჯერაც არ გამოჩენილა. თუ მას გასაქანი არ მივეცით, თუ რაც შექმნა, ყველაფერი სახელმწიფომ წაიღო, არც გამოჩნდება.

ადამიანს არ უნდა დავუკარგოთ იმის იმედი, რომ თუ იგი გამრჯედ და ფხიანად იშრომებს, შექმნის დროის საკადრის პროდუქციას, გამდიდრდება.

გავუეტე არა? ვიცი ბევრი გამინაწყენდება: ეს ხომ ყველასთვის ცნობილი ამბავია, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკიო. მეც მანდა ვარ. თითქოს ყველამ ყველაფერი ვიცით, წაქცეული ეკონომიკის წამოსაყენებლად კი ძალზე ცოტას ვაკეთებთ.

ოთარ ხუციშვილი.

ცირა შალაშვილი გაზეთ „ქუთაისის“ განყოფილების გამგე;
დავით წერეთელი „სრ“ საკ. კორ.

ეკონომიკა: პრობლემები, პერსპექტივა

მცირეგაბარიტიანის დიდი სიძნელეები

ქუთაისის მცირე გაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა რომ დღეს განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ვფიქრობთ, მტკიცება არ სჭირდება. მართალია, ეს ყურადღება ჯერჯერობით მხოლოდ მომხმარებელთა გაფაციცებულ ინტერესში მჟღავნდება და არა, ვთქვათ, სამთავრობო ღონისძიებათა აქტიურ გეზში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საწარმოს პერსპექტივა არა აქვს.

ამას რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ჩვენი აგრარული პოლიტიკის სამომავლო გეზი, რომელიც სოფლის მოსახლეობის მცირე მექანიზაციით უზრუნველყოფაზე გადის. ალბათ, ბევრი ჩვენგანისათვის მოულოდნელიც კი იყო, გლეხკაცი დიდი სიხარულით რომ არ შეხვდა მიწის კერძო მფლობელობაში გადაცემას. ამტყუნებთ? საზოგადოებრივი მეურნეობების კუთვნილი ტრაქტორების მფლობელნი რეალურად უკვე ის ტრაქტორისტები გახდნენ, ვინც მათ ემსახურებოდა. შესაბამისად, სოფლის მოსახლეობის უმცირეს ნაწილს ხვდა წილად მიწის დამუშავების მონოპოლიაც. ბუნებრივია, მოსახლეობის უმრავლესობა უმექანიზაციოდ დარჩა. ადრე თუ 20 მანეთი ჯდებოდა საკარმიდამოს მოხვნა, ახლა ფულის გაუფასურებამ ათჯერ და მეტად გაზარდა ხარჯები. არადა, დღეს გლეხი ხელსაც ველარ გაანძრევს უმექანიზაციოდ, მით უფრო, რომ აღარც ხარ-კამეჩი ჰყავს და აღარც ცხენი.

ცნობისთვის: ტრაქტორების ქარხანა ყოფილ საბჭოთა კავშირში მცირე მექანიზაციის ერთადერთი სპეციალიზებული საწარმო იყო. წარმოიდგინეთ, რაოდენ აუცილებელია იგი დღეს საქართველოსთვის, რომელსაც სულ მცირე 20-30 ათასი მოტობლოკი და მინიტრაქტორი მაინც სჭირდება საქმის დასაწყებად.

— ახლა, რომ ათასი ან ორი ათასი ტრაქტორი გადაეცემოდეს ჩვენს გლეხურ მეურნეობას, — ამბობს ქარხნის დირექტორი ზურაბ თადუმაძე, — აი, ეს იქნებოდა საქვეყნო საქმე. მაგრამ რა გინდა ქნა, როცა უფასოდ კი არა, კაცი ფასითაც ვერაფერს აკეთებს.

ზურაბი 41 წლისაა. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მოვიდა ქარხანაში და აგერ უკვე 20 წელია, ერთგულად ემსახურება კოლექტივისა და ქვეყნის ინტერესებს...

საოცრად ლამაზია გაზაფხულზე მუხნარის ტყე, რომლის დასაწყისშიც გამოკვეთილად კოპწიაობს ქარხნის შენობა. „ადრე აქ ჭაობი იყო, გვეუბნება დირექტორი, ამირან ნაცვლიშვილმა აქცია აქაურობა ისეთად, და ასეთი კაცი დაუმსახურებლად და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლა პრეფექტურამ. სხვათა შორის, სატრაქტორო ქარხნის დირექტორთან ერთად მაშინ საავტომობილო ქარხნის დირექტორიც გაუშვეს. თუმცა, ისინი პირველები არ ყოფილან. საკუთარი „საკადრო პოლიტიკის“ გატარება პრეფექტმა გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორიდან დაიწყო. რა ენაღვლებოდა, თვითონ რამდენიმე სკამზე იჯდა, და ერთის დაკარგვის შემთხვევაში მეორე მაინც რჩებოდა. იმ მართლა საქმისთვის გადაგებულ ხალხს, კი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ქუჩაში ერეკებოდა. მათგან ბევრმა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პოვა სამუშაო, ტყუილუბრალოდ მოაკლდა ქალაქის ინტელექტუალურ პოტენციალს.

— თქვენც პრეფექტურის „რჩეული“ ხართ? — დაუფარავი ირონიით ვეკითხებით ზურაბს.

— არა, — ეღიმება, — სხვა უნდოდათ, მაგრამ კოლექტივმა იძალა.

დირექტორის კაბინეტში „გოლდონის“ ფირმის მოტობლოკისა და მინიტრაქტორის ფერადი პლაკატია.

— რა ღირს ახლა თქვენი ტრაქტორი?

— 45 ათასი მანეთი. იყო დრო, მას 3500 მანეთად ვყიდდით.

— გლეხს მაშინ უჭირდა ყიდვა და ახლა რიღათი შეწვდება ამხელა ფასს?

ეღიმება. მერე კი დასძენს: ნეტავ იმდენს ვუშვებდეთ, მოთხოვნილებას ავუდიოდეთო.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს შეძლებული ხალხი. იმათ კი, ვინც ჯერჯერობით ხელმოკლედაა, ვურჩევთ, რამდენიმე კაცი შეიამხანაგოს, ანდა, მოტობლოკი იყიდოს.

— მოტობლოკიც ასე ძვირია?

— არა, თითქმის ორჯერ იაფია ტრაქტორზე.

მაინც გვეძვირება. დირექტორი გვიხსნის, თუ რამ გამოიწვია პროდუქციის გაძვირება. რა ქნას ქარხანამ, როცა კილოგრამი ალუმინი, რომელიც ძირითადი ნედლეულია ქარხნისთვის, 90 კაპიკიდან 150 მანეთი გახდა? ასევეა მოტობლოკის საბურავი, რომლის ფასმა 7 მანეთიდან 1050 მანეთამდე აიწია, ამას დაემატა ენერგორესურსების დეფიციტი და გაძვირება. თუ ადრე ელექტროენერგიაზე 3 მილიონ მანეთს ხარჯავდნენ წელიწადში, ახლა 35 მილიონიც არ კმარა.

ყველაფერი პროდუქციის თვითღირებულებაში შედის და ქარხანასთან ერთად, ბუნებრივია, მყიდველსაც აწვება. ფასები უფრო მეტი იქნებოდა, გლეხკაცს ანგარიში რომ არ უწევდნენ და თვითღირებულებაზე მხოლოდ რენტაბელობისთვის აუცილებელ 20 პროცენტს არ არიცხავდნენ. შეძლოთ კი 35 პროცენტი დაერიცხათ.

ასე რომ, გაჭირვების ჟამსაც ქარხანა ახერხებს მიწათმოქმედთათვის მხარდაჭერას. მალე ქარხნის საფირმო მაღაზიები გაიხსნება თელავში, გურჯაანში, ახალციხეში, რუსთავში, ოზურგეთში, ზუგდიდში და, რაღა თქმა უნდა, ქუთაისშიც.

უნდათ, გორი და სოხუმიც მიუმატონ ამ ჩამონათვალს, ოღონდ სტაბილიზაციის შემდეგ.

გასაგებია, არასტაბილურობა ცუდ დღეში აგდებს ქარხანას. ბოლო ორი წლის მანძილზე 12 დატვირთული ვაგონი დაეკარგა საწარმოს. სხვაგან დაიცალა მათი კუთვნილი ხე-ტყე, ბენზინი, ლითონი და სხვა მასალები, ახლაც ხშირად მოდის დეპეშები: გზა არ არის თქვენსკენ, მასალებს ვერ ვგზავნითო. ეს ყველაფერი კი ისევ ჩვენ გვაკლდება — საქართველოში მცხოვრებ აქეთა თუ იქითა ნაპირზე მყოფ ხალხს. და მერე რამდენი საწარმო-დაწესებულება თუ კომერციული ფირმაა ამ დღეში. რამდენ დოვლათს ვკარგავთ ჩვენივე უგუნურობით.

რას გააკეთებენ საფირმო მაღაზიები?

იმის გარდა, რომ მოტობლოკებითა და სათადარიგო ნაწილებით ივაჭრებენ, მათ ექნებათ შემკეთებელი სახელოსნოებიც, რომლებიც მოსახლეობას საჭიროებისამებრ მოემსახურებიან. აქვე იმუშავებენ სპეციალური ბრიგადები, რომლებიც მოქალაქეებს დაეხმარებიან საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში.

ეს კარგია, მაგრამ ის კი ვერაფერი მოსაწონია, რომ ქარხნის დეფიციტური პროდუქცია გადის რესპუბლიკის გარეთ. და ეს ხდება მაშინ, როცა ტრაქტორები და მოტობლოკები ჩვენთან სანთლით საძებარია.

— თქვენთვისაც სულერთია, სად გაიყიდება და ვის მიეყიდება ქარხნის პროდუქცია? — ვეკითხებით ზურაბს.

— რა თქმა უნდა, ჩვენი უპირველესი ვალია რესპუბლიკის მოსახლეობა უზრუნველვყოთ პროდუქციით. მრეწველობის სამინისტროს წინაშე უკვე დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ ქარხანა გახდეს გენერალური ლიცენზიის მფლობელი და რესპუბლიკის გარეთ პროდუქციის გატანა მოხდეს მხოლოდ ჩვენი ნებართვით.

გენერალური ლიცენზიის მფლობელობიდან, ალბათ, ქარხანა მალე სააქციო საზოგადოების საკუთრებაში ამოჩნდება. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიც ხომ აქეთ მიემართება.

დღეს ქარხანაში 1246 კაცი მუშაობს. ახლო მომავალში საწარმოს ამდენი მუშაკი აღარ დასჭირდება, მაგრამ ამთავითვე ზრუნავენ იმისათვის, რომ ქუჩაში არავინ აღმოჩნდეს. რის იმედი აქვთ? შექმნიან დამხმარე საწარმოო კერებს, სადაც ძირითადი წარმოებიდან გამოთავისუფლებულ ადამიანებს დაასაქმებენ. საამქროებში იმდენი კაცი უნდა მუშაობდეს, რამდენიც საჭიროა. ცხოვრება ისე მიდის, რომ ვერც ერთი საწარმოო უბანი ვერც ერთ ზედმეტ მუშაკს ვერ აიტანს.

კაცი რომ საწარმოში მუშაობს, მას ცხოვრება უნდა შეეძლოს. ახლა ქარხანაში მთელ ძალებს აქეთ წარმართავენ. აპრილში საშუალო ხელფასი რომ 870 მანეთი იყო, მაისიდან იგი 2460 მანეთი გახდა. ამასთან იყენებენ ბარტერულ გაცვლებს, საწარმოში შედარებით ხელსაყრელ ფასად შემოაქვთ პროდუქტები ქუთათურებს. თავიანთ პროდუქციაში თელავი ყურძენს და ღვინოს სთავაზობს, ოზურგეთი — ჩაისა და ციტრუსს, ახალციხე — კარტოფილს...

— რომ შეგვეძლოს, — ვეუბნებით დირექტორს, — თქვენს ქარხანას სავალდებულო საბიუჯეტო გადასახადებისგან გავათავისუფლებდით. ამას რომ ვამბობთ, პირველ რიგში ის სოციალური საკითხები გვაქვს მხედველობაში, რომლის მოსაგვარებლად იხარჯება შემდეგ ბიუჯეტის დიდი ნაწილი. ეს უდიდესი მხარდაჭერა იქნებოდა ჩვენი გლეხობისათვის, ვინც ასე ელის ქუთაისურ მოტობლოკს თუ მინიტრაქტორს და დიდი სტიმულიც ქარხნის ახალი ხელმძღვანელობისათვის, რომელსაც უამრავი საქვეყნო საქმე აქვს საკეთებელი.

ვინ იცის იქნებ ასეც მოხდესო — იმედიანად გვეუბნება დირექტორი და გატაცებით გვიყვება საწარმოს სამომავლო ამოცანებზე, რაშიც საზღვარგარეთთან კონტაქტებიც შედის. კერძოდ, თურქეთის სააქციონერო გაერთიანება „ჩელიკ მონტაჟთან“ გაფორმდა კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს ქარხნისათვის დიზელის მცირეგაბარიტიანი ძრავების მოწოდებას. ისინი დამონტაჟდება ახალი ტიპის მოტოკულტივატორზე, რომლის სერიული გამოშვების სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. ქუთაისელებმა ხელი მოაწერეს აგრეთვე შეთანხმებას იუგოსლავიურ ფირმასთან ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე, რომელიც გამოუშვებს ტრაქტორებს, მოტობლოკებს, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტუმბოებს. ამასთან, დაიწყება წარმოების შემზადება დიზელის ძრავებისა და საყოფაცხოვრებო ელექტროგენერატორების გამოსაშვებად, რომლებიც გაიყიდება როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

და თუ რომელიმე თქვენგანს წილად ხვდა ამ ქარხნის ასე სასურველი პროდუქცია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ იმ მუშასთან ერთად, ვინც მას უშუალოდ ქმნის, ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორთა და მათი პირველი ხელმძღვანელის დიდი წვლილიც არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათქმელი უნდა ითქვას

იძულებითი პასუხი

ალექსანდრე ონიანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ქართველებისა და აფხაზების უძველესი საცხოვრისისა და თანამედროვე აფხაზეთის მიწასთან მათი ისტორიული მიმართების გარკვევა უაღრესად მნიშვნელოვანი მეცნიერული ამოცანაა. ამ ამოცანის ასე თუ ისე გადაწყვეტას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს აფხაზთა და ქართველთა თანამედროვე სამშობლოს განსაზღვრისათვის. ორივე ეს ხალხი ამჟამად ცხოვრობს აფხაზეთის მიწაზე და არავის არა აქვს უფლება (არც იურიდიული, არც მორალური) რომელიმე მათგანს ეს მიწა შეედავოს. სამაგიეროდ დასმული პრობლემის გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმის საჩვენებლად, არსებობს თუ არა ისტორიული საფუძველი ამ მიწის არაქართულად მიჩნევისა, მისი სხვა ხალხის კუთვნილებად გამოცხადებისა და ამის საფუძველზე ამავე მიწის საქართველოდან მოწყვეტის პრეტენზიისათვის!

ქართველებსა და აფხაზებს ურთიერთმეგობრობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კეთილმეზობლური თანაცხოვრების ბრწყინვალე ტრადიცია აქვთ. თუ ამ ტრადიციას ბოლო ხანებში რაიმე ბზარი გაუჩნდა, ეს აიხსნება არა ამ ხალხების ურთიერთდამოკიდებულების შეცვლით, არამედ უკანასკნელი ათწლეულების კატაკლიზმებითა და ზოგიერთთა უგუნურებით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სიდარბაისლითა და სიკეთით სახელგანთქმული ეს ორი ხალხი არ დაუშვებს წინაპართა მიერ საფუძველჩაყრილი, ორივე ხალხისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ამ კეთილი ტრადიციის შერყევას.

თვით პრობლემა კი აფხაზეთის მიწაზე აფხაზ-ქართველთა ისტორიული ურთიერთმიმართებისა იმდენად რთულია, რომ მისი ცალსახა, საყოველთაოდ გაზიარებული გადაწყვეტა ამჟამად არ მოიპოვება. მეცნიერებაში არსებობს ამ პრობლემის ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტა: 1. აფხაზები უხსოვარი დროიდან (ქართველებზე ადრე) ცხოვრობენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (ქვემოთ ვუწოდოთ ამას პირველი შეხედულება), 2. აფსუას ტომის ხალხი (აფსუა არის აფხაზთა თვითსახელწოდება, სახელი აფხაზი კი აფხაზურ ენაში არ არსებობს) ამ ტერიტორიაზე ჩამოსახლდა არაუადრეს მე-16-მე-17 საუკუნეებისა, ქართველ აბორიგენთა ერთი ნაწილის სახელწოდებაც (აფხაზი) მას მხოლოდ ამის შემდეგ შეერქვა (ამას კი მეორე შეხედულება ვუწოდოთ).

პრობლემა, როგორც ვხედავთ, უაღრესად სათუთი და უაღრესად მნიშვნელოვანია და ის ყოველგვარ კერძო ინტერესებსა თუ პიროვნულ ამბიციებზე მაღლა დგას. მის შესახებ უპასუხისმგებლო და ორჭოფული მსჯელობა ამიტომ სრულიად შეუწყნარებელია.

რომელიმე შეხედულების მხარის დაჭერა უცილობლად მოითხოვს არა მხოლოდ მისი მართებულობის დასაბუთებას, არამედ — საწინააღმდეგო შეხედულების არგუმენტთა მოხსნასაც.

ამ მიზანს ისახავდა ჩემი წერილი „აფხაზეთი და დასავლეთი საქართველო ენობრივ მონაცემთა მიხედვით" („სახალხო განათლება", 20.XII. 1989 წ. და 3.I. 1990 წ.), აგრეთვე მონოგრაფია „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები" (1989 წ.), სადაც კრიტიკულად არის განხილული პირველი შეხედულების სასარგებლო არგუმენტები და მოცემულია ცდა მეორე შეხედულების დამატებითი დასაბუთებისა. ამან გამოიწვია აღშფოთებული „რეცენზიები", ერთი მხრივ, თ. გვანცელაძისა და მ. ჩუხუასი („სახალხო განათლება", 8.III.1990 წ.), ხოლო, მეორე მხრივ, კ. გაბუნიასი („ახალგაზრდა კომუნისტი", 13. II. 1990 წ.). ამ „რეცენზიებზე" პასუხთა გამოქვეყნების შემდეგ („სახალხო განათლება", 26. VII. 1990 წ. და „ახალგაზრდა ივერიელი", 28. VIII. 1990 წ.) კვლავ დაიბეჭდა იმავე ავტორთა ახალი „რეცენზიები" („ერი", 24. I. 1991 წ. და „ახალგაზრდა ივერიელი", 17. I. 1991 წ.), მაგრამ რადგანაც ეს „რეცენზიები" ძირითად პრობლემასთან დაკავშირებით არაფერს ახალს და სერიოზულს არ შეიცავდნენ, ამიტომ მარტო ჩემს ლანძღვასა და ცილისწამებაზე პასუხი ზედმეტად ჩავთვალე, ვივარაუდე, რომ კვალიფიციური მკითხველი უამისოდაც ადვილად გაერკვეოდა საქმის არსში. მაგრამ ამ ბოლო დროს, კ. გაბუნიას ხელმოწერით, კვლავ გამოქვეყნდა ანალოგიური „რეცენზია", ახლა უკვე სამეცნიერო ჟურნალში („მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1991 წ., გვ. 154-158). ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როდესაც „რეცენზენტთა" უსამართლობა არაორაზროვნად არის მხილებული ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის, ი. მეგრელიძის, გ. ნებიერიძის, ლ. სულამბერიძისა და სხვათა პუბლიკაციებში.

რადგან ძირითადი პრობლემისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, პროვოკაციას, ცილისწამებასა და ლანძღვა-გინებას ბოლო არ უჩანს, ამიტომ იძულებული ვარ ზოგ რამეზე გავამახვილო მკითხველის ყურადღება. ამასთანავე, „რეცენზიების" დაწვრილებით განხილვას მიზნად არ ვისახავ, შევჩერდები მხოლოდ ძირითად საკითხებზე.

როგორც ცნობილია, ი. ჯავახიშვილი ცნობდა ქართველური ენების მთის კავკასიურ ენებთან ნათესაობას. შემდგომში ამ ნათესაობის ფაქტად მიჩნევის საფუძველზე შეიქმნა ტერმინი — იბერიულ-კავკასიური ენები. ეს კი მოხდა ძირითადი ენათმეცნიერული პრინციპების გვერდის ავლით. სწორედ ამიტომ ეს ჰიპოთეზა არ გაიზიარა გამოჩენილ ქართველოლოგთა უდიდესმა უმრავლესობამ (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, გ. დეეტერსი, ჰ. ფოგტი, გ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, კ. შმიდტი, გ. კლიმოვი, ტ. გუდავა, ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, გ. ნებიერიძე და სხვა).

იბერიულ-კავკასიური ჰიპოთეზა, ამდენად, მეცნიერულად დაუსაბუთებელია, თვით ტერმინიც „იბერიულ-კავკასიური ენები" ამიტომ, ცხადია, მიუღებელია (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. გ. ნებიერიძის სტატია ჟურნალში „საზრისი", № 7-8, 1991 წ., გვ. 41-49). ეს, სხვათა შორის, იმასაც ნიშნავს, რომ იბერიულ-კავკასიური სახლის ცნებაც (რაზეც განსაკუთრებულ ყურადღებას ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ამახვილებენ) ისევე მიუღებელია, როგორც — იბერიულ-კავკასიური ენების (ან ხალხების) ცნება.

„რეცენზენტთა" მიერ წამოყენებული ერთ-ერთი მთავარი ბრალდება არის ის, რომ ჩემს წერილში არ არის ნახსენები სადავო დებულებების „პირველწყარო", რაც, მათი აზრით, ი. ჯავახიშვილის შრომებშია მოცემული. თავდაპირველად ასეთ „პირველწყაროდ" „რეცენზენტები" აცხადებდნენ ქართველური ენების მთის კავკასიურ ენებთან ნათესაობის ჰიპოთეზას. მას შემდეგ კი, რაც საპასუხო წერილებში ეჭვმიუტანლად იქნა ნაჩვენები, რომ ჩემ მიერ სადავოდ მიჩნეულ დებულებებთან ამ ჰიპოთეზას არა აქვს არავითარი კავშირი, „რეცენზენტები" იძულებული გახდნენ, შეეწყვიტათ ამ საკითხზე მსჯელობა (თუმცა შეცდომის პირდაპირ აღიარება არ ინებეს). სამაგიეროდ ი. ჯავახიშვილის შრომებში დაიწყეს ასეთი „პირველწყაროს" ძიება და, თქვენ წარმოიდგინეთ, „აღმოაჩინეს" კიდეც. ამ „აღმოჩენის" საფუძველზე კ. გაბუნია პირდაპირ დაასკვნის: „... **სადავო დებულებების ავტორია ივანე ჯავახიშვილი** და არა სიმონ ჯანაშია ან არნოლდ ჩიქობავა" („მაცნე", 3, 1991 წ., გვ. 155).

შევადაროთ ახლა სადავო დებულებებს ი. ჯავახიშვილის დებულებები, რომელთა საფუძველზეც კ. გაბუნიამ დიდი ივანე ყველა ამ დებულების ავტორად გამოაცხადა:

ა. ჩიქობავას მტკიცებით, „...არსებობს სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (როგორც ქართულად, ისე მეგრულ-ჭანურად და სვანურად მეტყველთა მიწაზე — ა. ო.) ქართველურ ტომებს წინ უსწრებდნენ აფხაზურ-ადიღეური ტომები" („იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", II, 1948 წ., გვ. 263). ს. ჯანაშია უფრო თავდაჭერილად, მეტი სიფრთხილითა და ტაქტით წერს: „... საკუთრივ აფხაზებს, მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე, წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა, ერთი მხრით, სვანური შტოსი, მეორე მხრით — ჭანურ-მეგრულისა" (შრომები, III, 1959 წ., გვ. 15). ა. ჩიქობავას დებულებისაგან განსხვავებით, აქ, როგორც ვხედავთ, აფხაზების ქართველებზე ადრიდან ცხოვრება არათუ მთელ დასავლეთ საქართველოს მიწაზე, არამედ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზეც კი არ ივარაუდება. ასეთ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებათა ავტორად დიდი ივანეს გამოცხადება, ნებსით თუ უნებლიეთ, მისი დამამცირებელი ბრალდება გამოდის.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზები და ადიღეელები, ნათესაობის მიუხედავად, ორი სხვადასხვა ხალხია სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილითა და ენით. ამიტომ აფხაზურ-ადიღეური ტომების შესახებ გაუდიფერენცირებლად (აფხაზებისა და ადიღეელების ერთმანეთისაგან გაუმიჯნავად) მსჯელობა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ცნობილი აფხაზი მკვლევარი შ. ინალ-იფა, არ არის მართებული. ასეთი მიდგომა ძალაუნებურად გაურკვევლობის წყაროდ იქცევა.

ახლა ვნახოთ, რას ამბობს ი. ჯავახიშვილი „რეცენზენტის" მიერ „აღმოჩენილ" იმ ციტატებში, რომელთა საფუძველზეც ის ზემოაღნიშნულ დებულებათა ავტორადაც გამოცხადდა: „ამრიგად, წინარეისტორიულ ეპოქაში ადიღეურ ტომებს უნდა ეცხოვრათ დასავლეთ ამიერკავკასიაში, ისტორიული ეპოქის საქართველოს ტერიტორიაზე".

თავი რომ დავანებოთ იმას, თუ რამდენად გასაზიარებელია თავისთავად ეს დებულება, აქ როგორც ვხედავთ, აფხაზები საერთოდ არ არის ნახსენები, ლაპარაკია მხოლოდ ადიღეური ტომების შესახებ. როგორ დავიჯეროთ, რომ „რეცენზენტი" ერთმანეთისაგან ვერ არჩევს ორ სხვადასხვა ხალხს — აფხაზებსა და ადიღეელებს?! მაგრამ, თუ არჩევს, მაშინ როგორ ავხსნათ, რომ ადიღეური ტომების შესახებ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე ი. ჯავახიშვილი სხვა ავტორთა მიერ აფხაზების შესახებ გაკეთებული დასკვნების ავტორადაც გამოცხადდა?!

თავისი მტკიცების მეორე საბუთად „რეცენზენტი" ი. ჯავახიშვილის ისეთ დებულებასაც კი ასახელებს, როგორიც არის: „აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთის პროვინციები ოდესღაც ჩეჩენი და დაღესტნელი ტომებით იყო დასახლებული" („მაცნე", 3, 1991 წ., გვ. 155), ეს უკვე მეტისმეტია! რა შუაშია ჩეჩნები, დაღესტნელები და აღმოსავლეთი საქართველო, როდესაც დავის ობიექტი აფხაზების დასავლეთ საქართველოს მიწასთან ისტორიული მიმართების საკითხებია?!

ფაქტობრივი ვითარება სინამდვილეში ასეთია: შრომებს, სადაც ზემოაღნიშნული დებულებებია წამოყენებული, ავტორებად ს. ჯანაშია და ა. ჩიქობავა აწერია, და, რაც მთავარია, ი. ჯავახიშვილის დებულებებს — „რეცენზენტის" მიერ „აღმოჩენილს" — არც ერთი მათგანი არ იმოწმებს.

ასეთ ვითარებაში ყველა ამ დებულების ავტორად ი. ჯავახიშვილის გამოცხადება არის არა მხოლოდ კურიოზი, არამედ — დიდი ივანეს ცილისწამებაც და ს. ჯანაშიასა და ა. ჩიქობავას შეურაცხყოფაც. საქმე ის არის, რომ, ასეთი მტკიცების შემთხვევაში, ი. ჯავახიშვილი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებათა ავტორიც გამოდის, რომელთა მსგავსი მას არსად არასდროს არაფერი დაუწერია, ხოლო ს. ჯანაშიასა და ა. ჩიქობავას სხვისი დებულებების მითვისებაც ბრალდება (სრულიად უსაფუძვლოდ). ასეთი შემზარავი ბრალდებების წამოყენება „რეცენზენტს", რასაკვირველია, არ უნდოდა, ის მას მისდა უნებურად გამოუვიდა.

მადლობა ღმერთს, საქართველოს ტერიტორიაზე არა დგას მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ხალხების (ადიღეელების, ჩეჩნების, დაღესტნელების) სამშობლოს საკითხი. პრობლემა მხოლოდ საქართველოს შიგნით მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის (აფხაზების) ძველი საცხოვრისის საკითხია. ჩემ წერილსაც სწორედ ამიტომ ჰქვია „აფხაზეთი და დასავლეთი საქართველო (და არა — ადიღე, ჩეჩნეთი, ან დაღესტანი და საქართველო. — ა. ო.) ენობრივ მონაცემთა მიხედვით". ეს სათაური კი ი. ჯავახიშვილის დებულებათა განხილვის აუცილებლობას, რაღა თქმა უნდა, არ წარმოქმნიდა. სწორედ ამიტომ ჩემ წერილში არც ი. ჯავახიშვილის სახელია სადმე ნახსენები და არც მისი დებულებები. ახლა მკითხველმა თვითონ განსაჯოს, რამდენად მოსათმენია ასეთ ვითარებაში დიდი ივანე ჯავახიშვილის „შეურაცხყოფისა" და „მოღალატედ" გამოცხადების დაბრალება, რასაც სამივე რეცენზენტი ისტერიულად გაჰყვირის, და რამდენად საპატიებელია პროვოკაციული მიზნებისათვის ი. ჯავახიშვილის სათუთ სახელთან ასე უპასუხისმგებლო თამაში?!

• • •

როგორც აქამდე ნათქვამიდანაც ჩანს, ჩემი წერილის ძირითად მიზანს შეადგენდა იმის დასაბუთება, რომ უსაფუძვლოა და მიუღებელი ვარაუდი, რომლის მიხედვითაც „დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველურ ტომებს წინ უსწრებდნენ აფხაზურ-ადიღეური ტომები", მიუღებელია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მის სასარგებლოდ მოხმობილი არგუმენტები არ არის მართებული, და, მეორეც, ეს არგუმენტები არც მართებულობის შემთხვევაშია საკმარისი ასეთი ვარაუდის წამოყენებისათვის. აი, ამ მოსაზრების შეძლებისდაგვარად დასაბუთებას მიეძღვნა ჩემი წერილის უდიდესი ნაწილი. სწორედ ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ატეხეს „რეცენზენტებმა" აურზაური და გააჩაღეს სადავო დებულებების თავგამოდებული დაცვისა და საწინააღმდეგო შეხედულების ავტორის სახელის გატეხის ფართო კამპანია, დიდი ივანეც სწორედ ამ მიზნით შეაწუხეს. მაგრამ ნათქვამია, „მტყუანი დღეში ათჯერ გამოტყდებაო" და „რეცენზენტებიც", როგორც მოსალოდნელი იყო, გამოტყდნენ. მოვუსმინოთ მათ: „სიცრუეა, რომ თითქოს... ვიზიარებდეთ აფხაზური მოსახლეობის უწინარესობას თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. გაუგებრობაა! ღმერთია მოწამე, ასეთი რამ ჩვენ არსად გვიწერია..." (თ. გვანცელაძე, მ. ჩუხუა, „ერი", 24, 1. 1991, გვ. 7), „... ჩვენთვის გასაზიარებელია ალ. ონიანის თვალსაზრისი: „ერთადერთი ქართული ზმნისწინისა (წარ-) და ოთხიოდე მეგრულ-ჭანური ზმნისწინური ელემენტის (ლა-, კა-, თა-, ნ-) აფხაზური წარმომავლობა უდავოც რომ იყოს, ასეთ მცირე მასალაზე დამყარებით ასეთი შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება მაშინაც არაბუნებრივი იქნებოდა" (ლაპარაკია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღეური მოსახლეობის ოდინდელი ცხოვრების შესახებ)" (კ. გაბუნია, „მაცნე", 3, 1991 წ., გვ. 157).

რა გამოდის? გამოდის, რომ „რეცენზენტები" თავგამოდებით იცავენ იმ შეხედულებას, რომელსაც ისინი თურმე არ იზიარებენ და ასევე თავგამოდებით სვრიან ლაფში ავტორს, რომლის პოზიციასაც თურმე თვითონაც ემხრობიან. „რეცენზენტთა" გულწრფელობის შემთხვევაში ამ აბსურდულ ულოგიკობას ახსნა ვერ მოენახება.

• • •

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი პრობლემისადმი ამგვარი უპასუხისმგებლო და ორჭოფული დამოკიდებულება იმაზე მეტყველებს, რომ „რეცენზენტებს" ამ პრობლემის ჯავრი არა აქვთ, მათი ერთადერთი მიზანია სადავო დებულებების ავტორთა კრიტიკის აკრძალვა და ამ კრიტიკის ლამის დანაშაულად გამოცხადება. რადგანაც თავისუფალ მეცნიერულ გარემოში ცალკეულ დებულებათა კრიტიკული განხილვა ჩვეულებრივ, აბსოლუტურად ნორმალურ საქმიანობად მიიჩნევა, ამიტომ „რეცენზენტთა" მოქმედებას სხვაგვარად ვერ დავახასიათებთ, თუ არა მეცნიერებაში დოგმატიზმისა და ტირანიის შენარჩუნების ცდას. ტირანია კი აქ, როგორც ცნობილია, ტოტალიტარიზმის ეპოქაში დამკვიდრდა, ქართულ ენათმეცნიერებაში მან განსაკუთრებით მკაცრი ხასიათი 50-იანი წლების საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ მიიღო. იმ გარემოებაში, რომელსაც „რეცენზენტები" განეკუთვნებიან, ჩვევადქცეული ეს რეჟიმი შენილბულად თუ შეუნილბავად, ჩვენდა სავალალოდ, დღემდე განაგრძობს არსებობას.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ისევ ლოხ-ნესის საიდუმლოება

ლონდონი. ნესის — იდუმალებით მოცული ურჩხულის საიდუმლოება, რომელიც უკვე მრავალი წელია უამრავი პუბლიკაციის, მონათხრობის და მონაგონის თემად რჩება, ეტყობა, წელს გამჟღავნდებაო, გვპირდებიან მეცნიერები, რომლებიც შოტლანდიის ლოხ-ნესის ტბაზე ჰიდროლოგიურ ექსპედიციას აწყობენ.

თუმცა, ესეც კია, ბრიტანელი მეცნიერები ბი-ბი-სის ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში დაჟინებით ამტკიცებენ, რომ სინამდვილეში ლაპარაკია ბრიტანეთის უდიდესი მტკნარი წყალსაცავის შესწავლის სამწლიან სამეცნიერო-კვლევით პროგრამაზე, და არა „ურჩხულის" ძიებაზე.

ექსპედიცია გამოიყენებს გემს „სიმრედს", რომელიც აღჭურვილია უახლესი საკვლევი აპარატურით, მათ შორის თანამედროვე ჰიდროლოკატორებით, რომელთა მეშვეობით უტყუარ მონაცემებს მიიღებენ ლოხ-ნესის წყალქვეშა სამყაროზე.

შუშკევიჩისა და ლანდსბერგისის შეხვედრა

მინსკი. ეროვნულ უმცირესობათა — ლიტვაში ბელორუსთა და ბელარუსში ლიტველთა პრობლემები იქნება ამ სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოების წარმომადგენელთა შეხვედრაზე ყურადღების ცენტრში. ამ შეხვედრის გამართვა გათვალისწინებულია ბელარუსის სოფელ გერვიატში, რომელიც ბელარუს-ლიტვის საზღვრის მახლობლად მდებარეობს. სტანისლავ შუშკევიჩისა და ვიტაუტას ლანდსბერგისის შეხვედრა დაიწყება დღეს ნაშუადღევს. ვარაუდობენ, რომ გერვიატში შეეხებიან ორი ქვეყნისათვის საინტერესო სხვა პრობლემებსაც.

ჯორჯ ბუშის ახალი ინიციატივა

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ორშაბათს ახალი ინიციატივა გამოიჩინა ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღისა და მისი ადგილზე მიტანის საშუალებათა გაუვრცელებლობის დარგში. მან გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატები წყვეტს პლუტონიუმისა და ბირთვული აფეთქების მოწყობისთვის საჭირო დიდად გამდიდრებული ურანის წარმოებას, და სხვა ქვეყნებსაც მოუწოდებს განამტკიცონ არსებული ღონისძიებანი ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა სახეობათა იარაღის, აგრეთვე სარაკეტო ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუვრცელებლობის დარგში. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უნდა გაუმჯობესდეს ეროვნული კონტროლი სამხედრო და „ორმაგი" დანიშნულების საქონლის ექსპორტს და „გამოყენებულ იქნეს ყველა საშუალება პოლიტიკის, უშიშროებისა და დაზვერვის დარგში, აგრეთვე სხვა მექანიზმები" იარაღის გაუვრცელებლობის საიმედო გარანტიათა შესაქმნელად.

უშიშროების საბჭოს სანქცია

კაირო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ორშაბათს სანქცია მისცა სარაევოს აეროპორტის რაიონში გაეროს ძალების დამატებითი კონტინგენტის გაგზავნას. ამით უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს გალის რეკომენდაციას 1600 კაცამდე გაზარდოს სარაევოს აეროპორტის რაიონში გასაგზავნი გაეროს ძალების ქვედანაყოფების რაოდენობა. დაგეგმილია, რომ 20-25 ივლისს იქ ჩავა სამი ბატალიონი, რომლებიც გაეროს განკარგულებაში გამოყვეს ეგვიპტემ, უკრაინამ და საფრანგეთმა. მათ უნდა შეცვალონ იქ მყოფი კანადის ბატალიონი, რომელიც ხორვატიაში დაბრუნდება.

ალბერტ გორი — ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი

ნიუ-იორკი. აქ გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის 41-ე ეროვნული ყრილობა. ფორმალურად მისი მთავარი მიზანია დემოკრატებისგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტების კანდიდატთა არჩევა ნოემბერში არჩევნების წინ.

არკანზასის შტატის გუბერნატორმა ბილ კლინტონმა, რომელმაც გაიმარჯვა წინასაარჩევნო კამპანიის წინასწარ ეტაპზე, უზრუნველყო თავისთვის პარტიული ყრილობის დელეგატთა უმრავლესობის მხარდაჭერა. მისი გადაწყვეტილებით, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის გავლენიანი სენატორი ტენესის შტატისაგან ალბერტ გორი.

აქტუალური ინტერვიუ

სად იღებს სათავეს მოზარდის სისასტიკე და აგრესიულობა?

ამ სამ-ოთხი ათეული წლის წინათ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საზოგადოებრიობა საგონებელში ჩააგდო არასრულწლოვანთა დანაშაულის არნახულმა ზრდამ. მოზარდთა შორის გავრცელებულმა ნაადრევმა ალკოჰოლიზმმა, ნარკომანიამ, აგრესიულობამ ბევრი თავსატეხი გაუჩინა მშობლებს, პედაგოგებს, სამართალდამცველი ორგანოების მუშაკებს, საერთოდ, საზოგადოებას.

უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო გამოიკვეთა მოზარდთა დანაშაულის ზრდის ტენდენცია. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? — ჰკითხა ჩვენმა კორესპონდენტმა მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ მირიან მესტიაშვილს.

— მიზეზი რამდენიმეა: დაირღვა საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილობა; იცვლება ყოფის დამკვიდრებული წესები; ინტენსიური ურბანიზაციის გამო ქალაქებში ვერ ხორციელდება ჯეროვანი სოციალური კონტროლი; მოზარდთა ფსიქიკაზე მოქმედებს ცხოვრების ტემპის აჩქარება და ინფორმაციის მოზღვავებაც. ყმაწვილები ისე ველარ ახერხებენ სოციალურ ადაპტაციას და თავს იჩენს ანტისაზოგადოებრივი და ანტისოციალური გამოვლინებანი. მოზარდთა ერთი ნაწილის გაავებას, სისასტიკეს და ვანდალიზმს ხელი შეუწყო რელიგიური რწმენის უქონლობამაც. განსაკუთრებით ცუდი როლი შეასრულა ე. წ. ვიდეობუმმაც. მოზარდის ფსიქიკაზე მძიმედ მოქმედებს სექსუალურ-პორნოგრაფიული, ძალადობისა და საშინელების ფილმები. ხშირად ყმაწვილები მოძალადე ვიდეოგმირს კერპად დაისახავენ და ცდილობენ მიჰბაძონ, აითვისონ მისი შეხედულებები, მანერები, ცხოვრების წესი. ამ უკანასკნელ ხანს ახალგაზრდობაში შეინიშნება გართობის, დროს ტარების, წუთიერი კმაყოფილებისა და, საერთოდ, სიამოვნების მიღების გაზრდილი მოთხოვნილება.

— **მერე რა არის აქ ცუდი? განა ეს ბუნებრივი არ არის?**

— ეს ჰედონიზმი გახლავთ. მისი ტენდენციების ზრდა კი იმით არის საშიში, რომ როცა სიამოვნების განცდა იპყრობს ადამიანის გულისყურს, მკვეთრად სუსტდება და ხშირად ისპობა კიდეც მეცადინეობისა და შრომის ინტერესი. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისკენ ლტოლვა ყმაწვილს დანაშაულისკენ — ქურდობისკენ, ძალადობისკენ უბიძგებს.

— **ეს ძალადობაც უკანასკნელ ხანს საოცარი სისასტიკით ხასიათდება. მოზარდები ხშირად სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, მეტწილად თანატოლებს, სასიკვდილოდაც კი იმეტებენ.**

— დიახ, ბოლო ხანს აგრესიული ქცევა, ძალადობა და სისასტიკე ხშირად მძიმე დანაშაულის სახეს იღებს. აგრესია სხვადასხვა ფორმით ვლინდება: სიტყვიერად (დაშინება, გინება, მუქარა) და ფიზიკურად (ცემა, წვალება, სექსუალური ძალადობა, დაჭრა, მოკვლა). ეს უკანასკნელი როგორც სხვის მიმართ, ისე საკუთარი თავის მიმართაც ხდება (თვითმკვლელობა, საკუთარი სხეულის დაზიანება), ხშირად მოზარდთა ეგრეთ წოდებული ფსიქომოტორული აგრესია ვანდალიზმის სახით — საშინელ ნგრევასა და მსხვრევაში ვლინდება.

— **შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს მოზარდი, რომელიც ასეთ აგრესიულ აქტებს ჩადის?**

— თავისი არსით აგრესია შეიძლება იყოს პათოლოგიურიც (ავადმყოფური) და არაპათოლოგიურიც. მოზარდები, რომლებიც არაპათოლოგიური ბუნების აგრესიულობას ავლენენ, არ ითვლებიან არც ავადმყოფებად და არც ანომალურ პიროვნებებად.

— **რა იწვევს მათ გაავებას, აგრესიულობას?**

— ზოგჯერ — კონფლიქტური სიტუაცია, ზოგჯერ კი — სოციალური ხელმიშვებულება, მოზარდის დაბალი ინტელექტი, მაგრამ მთავარი მიზეზი ოჯახური გარემოა, მშობლებს შორის მძაფრი კონფლიქტები, დედ-მამის ალკოჰოლიზმი, ნარკომანობა. როცა ერთ ან ორივე მშობელს პიროვნული ანომალიის ნიშნები აქვთ: მუდმივი უხასიათობა, ყველაფრით უკმაყოფილება, გულქვაობა, შეუბრალებლობა როგორც ერთმანეთის, ისე ბავშვის მიმართ, მათი შვილი უკვე საბავშვო ბაღიდანვე ავლენს მომეტებულ აღგზნებადობას, ულმობლობას. მას უჭირს თანატოლებთან შეგუება. მცირეწლოვანის ულმობლობა, სადიზმი ხშირად ვლინდება თამაშის პროცესში, და-ძმებთან და თანატოლებთან ურთიერთობაში, ცხოველებისადმი დამოკიდებულებაში.

არაჯანსაღი ოჯახური გარემო მძიმე დაღსასვამს მოზარდის ბუნებას. თუ შვილის სურვილები, ინიციატივა, თვითდამკვიდრებისა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა ოჯახში უხეშად ითრგუნება, თუ მშობლები სხვათა თანდასწრებით ლახავენ მოზარდის თავმოყვარეობას, ხშირად სცემენ, ემუქრებიან, ძალზე მკაცრად ეპყრობიან, ის ნერვიული, აღგზნებადი, აგრესიული ხდება; დანაშაულის განცდის, თვითკრიტიკის, თანაგრძნობის უნარს მოკლებული, ზურგს აქცევს ოჯახს და ქუჩაში ეძებს თავშესაფარს, ხშირად ანტისოციალურ წრეში ერთიანდება, ეჩვევა სასმელს, ნარკოტიკულ და ტოქსიკურ ნივთიერებებს. გოგონები არაიშვიათად ამორალური ყოფაქცევის უფროს ქალიშვილებს უახლოვდებიან, ზოგი მეძავეობის ქსელში ეხვევა.

— **ქუჩის გავლენისგან ნორმალურ ოჯახურ გარემოში აღზრდილებიც რომ არ არიან დაზღვეული?**

— ესენი მეტწილად არიან ამორფული, ჩამოუყალიბებელი თვისებების, უნებისყოფო მოზარდები, როცა მათ უფროსების კონტროლი აკლიათ. ქუჩის გავლენას თითქმის სრულიად უკრიტიკოდ ექვემდებარებიან გონებრივად და ფსიქიკურად ჩამორჩენილი ბავშვები და მოზარდები. ისინი ყოველნაირად ცდილობენ მიიქციონ ყურადღება, დაიმსახურონ „ნდობა" ანტისოციალურ წრეში, რის გამოც დემონსტრაციულად ბაძავენ მათზე გამოცდილებს სისასტიკეში და ხშირად აჭარბებენ კიდეც.

— **ბოლო ხანს გახშირდა სკოლაში და ქუჩაში ბავშვებისთვის ფულის ან ნივთების გამოძალვის შემთხვევები; ყმაწვილები ძალადობას იყენებენ თანატოლებს შორის თვითდამკვიდრებისათვის.**

— მიზანმიმართულმა აგრესიამ მართლაც შესამჩნევად იმატა. სისასტიკით გამორჩეულ მოზარდებს შორის არიან ისეთებიც, მშვიდ, უკონფლიქტო ოჯახებში რომ აღიზარდნენ. ამათ უხასიათობასა და ქცევის მოშლას კი ხშირად საფუძვლად უდევს აღზრდაში დაშვებული შეცდომები, შვილის „ოჯახის სათაყვანებელ კერპად" მიჩნევა. ყმაწვილი უსაზღვრო თავისუფლებით სარგებლობს, მშობლები ყველა სურვილს უსრულებენ, არაფერს უკრძალავენ და რახან ის ყველაფერში ნებადართულობასაა მიჩვეული, რაიმე სურვილის შეუსრულებლობის შემთხვევაში მრისხანებას და აგრესიას ავლენს.

გახშირდა მოზარდთა შორის სექსუალური ძალადობის შემთხვევებიც. ამის მთავარი მიზეზი მოზარდთა სქესობრივი აღზრდის არაორგანიზებულობაა. არაჯანსაღ ინტერესს სქესობრივი საკითხებისადმი იწვევს სექსუალური, პორნოგრაფიული ვიდეოფილმებიც, რომელთა გავლენით მოზარდებში უკიდურესად ძლიერდება სქესობრივი ლტოლვის ტონუსი, რომლის რეალიზაციის შეუძლებლობა ხელს უწყობს უკიდურეს ფსიქო-ემოციურ, ვეგეტაციურ და ფიზიკურ დაძაბულობას. ყველაფერმა ამან შეიძლება გამოიწვიოს მრავალი გართულება როგორც ქცევის მოშლის სახით (სქესობრივი ძალადობა, სქესობრივი გაუკუღმართებანი, აფექტური განტვირთვები აგრესიის ტენდენციებით), ისე სხვადასხვა სახის ნევროზული და სომატოფსიქიკური აშლილობანი.

— **შეიძლება ითქვას, რომ მოზარდთა სისასტიკეს და აგრესიულობას მხოლოდ უარყოფითი გარემო — ოჯახი, სკოლა, საზოგადოება განაპირობებს, რომ პიროვნებას გარემო ძერწავს და ამიტომ თვითონ მას ნაკლებად უნდა მოეთხოვოს?**

— არა. უარყოფითი გარემოს ზემოქმედება, მართლაც, ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ქცევის მოშლას და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში) გარემოსთან ერთად ფაქტორთა ურთიერთქმედებაც იწვევს — ორგანიზმის გარკვეული ბიოლოგიური უკმარობა და ადამიანის ფსიქიკური თავისებურებანი.

— **აქამდე ჩვენ სისასტიკისა და აგრესიულობის არაპათოლოგიურ ფორმაზე ვსაუბრობდით...**

— რაც შეეხება პათოლოგიურ, ავადმყოფურ ფორმებს, მათი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს თავის ტვინის ორგანული დაზიანების ნარჩენი მოვლენები, პიროვნების ანომალური განვითარება (ფსიქოპათია); ეპილეფსიისა და ზოგიერთი ფსიქიკური დაავადების შემთხვევები.

ფსიქოპათია პათოლოგიური (ავადმყოფური) ხასიათის გამოვლინებაა. მართალია, ფსიქოპათიურ პიროვნებას ანომალური რეაქციები აღენიშნება (უპირატესად ქცევის დარღვევის სახით) და გაძნელებული აქვს გარემოსთან შემგუებლობა, მაგრამ მაინც ფსიქოპათი არ ითვლება სულით ავადმყოფად. მას ხშირ შემთხვევაში ძალუძს კონტროლი გაუწიოს საკუთარ ქცევას.

ამ ტიპის ბავშვებიდან და მოზარდებიდან სისასტიკესა და აგრესიას უფრო ხშირად ისინი ავლენენ, ვინც მცირე ასაკიდანვე გამოირჩევა მომეტებული ნერვიული აღგზნებადობით, მუდმივად დაძაბული გუნებაგანწყობით, უპირატესად უარყოფითი და უკმაყოფილო განცდებით, გამოხატული ეგოიზმით, გულღვარძლიანობით, გარშემომყოფთა მიმართ უმოტივო გაბოროტებით. ეს თვისებები უპირატესად, ე. წ. ეპილეპტოიდურ პიროვნებებს აქვთ.

ბავშვთა და მოზარდთა სისასტიკის, ულმობლობის, აგრესიულობის აღმოცენებას განაპირობებს თავის ტვინის ორგანული დაზიანებაც, სამშობიარო ტრავმა, ასფიქსიის (მოგუდვის) პირობებში ბავშვის დაბადება, ადრეულ ასაკში გადატანილი ნეირო-ინფექციები, შემდგომში მიღებული თავის ტრავმა და სხვა. ამ დროს ზოგჯერ ვითარდება ფსიქოპათიისმაგვარი მდგომარეობა, რომლის დროს, გარდა ხასიათის სიმძიმისა, ბავშვებს აღენიშნებათ ლტოლვათა პათოლოგია (გაძლიერება, გაუკუღმართება). ეს ბავშვები გამოირჩევიან გონებრივი განვითარების ტემპის შეფერხებით, გვიან იწყებენ მეტყველებას, ხშირად აქვთ ენაჩლუნგობის ნიშნები, უჭირთ კითხვისა და წერის ჩვევის გამომუშავება, ყურადღებადაფანტულები, მოუსვენრები არიან, უმიზნოდ ფუსფუსებენ, ზედმეტად აქტიურობენ.

— **ნუთუ ამ ყმაწვილების შველა არაფრით შეიძლება?**

— როგორ არა! თუ დროულად დადგინდა ფსიქოპათიურობის ნიშნები, მაშინ სათანადო მკურნალობა, პედაგოგიკური კორექცია და, რაც მთავარია, ჯანსაღი ოჯახური გარემოს შექმნა შესაძლებელს გახდის ანომალიის მნიშვნელოვან შერბილებას და ბავშვის, მოზარდის პიროვნების ნორმალურ ჩამოყალიბებას.

— **თავიდათავი ალბათ, მაინც ოჯახური გარემოა. ბავშვის აღზრდაა...**

— უეჭველად. თუ ბავშვს არა აქვს გამომუშავებული ქცევის კულტურა, ადამიანებისა და, საერთოდ, ცოცხალი არსების მიმართ ჰუმანური, გულმოწყალე დამოკიდებულება, კეთილმოსურნეობა, მოთმინება, თუ ის მოკლებულია სინანულისა და დანაშაულის განცდას, მაშინ ადრე თუ გვიან მასში თავს იჩენს კაცთმოძულეობა, აგრესიულობა, სადიზმი.

— **ასე რომ, მოზარდთა სისასტიკე და აგრესიულობა უეცრად არ ყალიბდება. ეს თვისებები ასაკთან ერთად ღრმავდება და დანაშაულებრივ ხასიათს იძენს, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ მოზარდებს?**

— აგრესიულობის არც ერთი ფორმა არ იძლევა პასუხისმგებლობის აცილების უფლებას ჩადენილი დანაშაულის გამო. იშვიათი გამონაკლისი გახლავთ ფსიქიკურად (სულით) დაავადებული ავადმყოფის აგრესია. ეს ავადმყოფები კი მუდმივი ზედამხედველობისა და მკურნალობის ქვეშ იმყოფებიან.

მოზარდი, და საერთოდ ყველა, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ უთუოდ მოეთხოვება პასუხი აგრესიის, სისასტიკის და სადიზმისათვის, მით უმეტეს — დანაშაულებრივი ქმედებისათვის. დაუსჯელობის იმედი ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია აგრესიული ქცევისა და, საერთოდ, კანონსაწინააღმდეგო გამოვლინებათა რეციდივების აღმოცენებაში.

მოზარდთა აგრესიულობის მექანიზმების ცოდნას და მის პროფილაქტიკას განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება ახლა, როცა არასრულწლოვანთა ნაწილს, სხვადასხვა გზით, ხელში უვარდება ცეცხლსასროლი იარაღი.

მოზარდთა სისასტიკე და აგრესიულობა არასდროს ყოფილა ისე სახიფათო როგორც დღეს, დღევანდელ პირობებში.

ესაუბრა
მაკა ქორიძე.

რედაქტორი პავლე ასლანიდი

ინტერვიუ იუბილარ კოლეგასთან

დამერწმუნეთ, არაფერია ქვეყნად იმაზე უფრო საშინელი, ვიდრე დავიწყება, საზოგადოებრივი ასპარეზიდან წასული კაცის დავიწყება. განა ცოტას იცნობთ ადამიანებს, თქვენს გვერდით რომ ულვაწიათ, კარგადაც ულვაწიათ, დღეს კი დავივიწყეთ მხოლოდ იმიტომ, რომ წავიდნენ... არადა როგორ გვჭირდება ერთმანეთი, მათ — ჩვენ, ჩვენ — ისინი. დამქანცველმა ყოველდღიურობამ, ჩვენმა არეულმა წუთისოფელმა ისე გაგვძარცვა და გამოგვფიტა, რომ ერთმანეთთან უკეთეს შემთხვევაში ცივ, გულგრილ ურთიერთობებს ვიტოვებთ მხოლოდ... სადაა ადამიანური სითბო!

ამბობენ, ადამიანი მით უფრო ბედნიერია, რაც უფრო მეტი სიკეთე აქვს ამ ქვეყნად დათესილი. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი პავლე ასლანიდი. 24 ივნისს მას 75 წელი შეუსრულდა და კინაღამ ყველას დაგვავიწყდა ეს ღვაწლმოსილი კაცი, ისეთი ამბები დატრიალდა. გავხედე და შინ ვეწვიე ახალგაზრდა კოლეგა.

— ბატონო პავლე, თქვენს ასაკამდე ნახევარი საუკუნე კიდევ მაქვს გასავლელი და არ დამეძრახება, თუ გკითხავთ ცხოვრებით დაბრძენებულ ადამიანს: ნიჭს გარდა რა თვისებები სჭირდება ჟურნალისტს, გამორჩეული რომ იყოს?

— ინტუიცია, მძაფრად განვითარებული ინტუიცია და გამბედაობა — მიპასუხებს ენერგიულად, ახალგაზრდულად, და მაგონდება ალექსანდრე კიკნაძის წიგნიდან ერთი პასაჟი:

„ჩემს შესახვედრად წამოდგა დაბალი, ჩაფსკვნილი ტანის საშუალო ხნის კაცი, მის თვალებში შეგეძლოთ ამოგეკითხათ ცნობისმოყვარეობაც და კეთილგანწყობაც, კიდევ რაღაც, ამას უკვე მოგვიანებით მივხვდი — წმინდა ასლანიდისეული. დიდხანს ვიმტვრიე თავი იმის ამოსაცნობად, თუ რა იმალებოდა ამ „კიდევ რაღაცის" მიღმა, სიტყვებს ვეძებდი და ბოლოს და ბოლოს მივაგენი — სწრაფი წვდომის უნარით დაჯილდოებული გონება, რომელმაც იგი შემდგომ საქართველოში ძალზე პოპულარული გაზეთის — „ვეჩერნი ტბილისის" რედაქტორად აქცია".

არც გამბედაობა ჰკლებია არასოდეს ბატონ პავლეს. მაშინ ის ჯერ კიდევ გაზეთ „გუდოკის" კორესპონდენტი გახლდათ, როდესაც ერთი ამბავი შეემთხვა:

„ბატონი პავლე ნარკვევის დასაწერად მიიჩქაროდა ლიანდაგის დარაჯ ცხრა ძმა გუდაძესთან. ელმავალი გვირაბიდან უნდა გამოსრიალებულიყო, რომ პავლემ ორი გენიალური ფოტოსურათის გადაღება მოიწადინა. შუქით გაჩირაღდნებული ტრასის აღბეჭდვა მოისურვა უკუნში. მას მემანქანისაგან ნებართვა არ აუღია, ისე გავიდა ბაქანზე და... ჰაერის ტალღამ წამსვე ძირს დაანარცხა. შემადგენლობის მუხრუჭებმა გაიღრჭიალეს, გონდაკარგული პავლე კი მაშინვე აიყვანეს. პულსი ძლივს უცემდა: „ნეკნები ჩამტვრეული ჰქონდა". საავადმყოფოს სარეცელზე მიჯაჭვული ხანგრძლივი და რთული ოპერაციის მოლოდინში იყო. „გუდოკში" მანამდე ასე ხშირად არ გამოსულა ამდენი ნარკვევი, ჩანახატი, კორესპონდენცია და ჩვეულებრივი ჩანაწერი პ. ასლანიდის ხელმოწერით".

ჩვენი პროფესიის სიყვარული თავდადებას მოითხოვს, — მეუბნება ბატონი პავლე, — უამისოდ არაფერი გამოვა, ვერ გახდები პროფესიონალი, ფიზიკური ტრავმებისაგან კი ღმერთმა ყველა დაიფაროს, რა თქმა უნდა.

მე-9 კლასის მოსწავლე იყო, როდესაც თბილისში, მუშტაიდის ბაღში საბავშვო რკინიგზა გაიხსნა და იმის უფროსად დანიშნეს (სხვათა შორის, რკინიგზა 24 ივნისს, ბატონ პავლეს დაბადების დღეს გაიხსნა). ალბათ ამან განაპირობა, რომ გაზეთ „პიონერსკაია პრავდას" კორესპონდენტად მუშაობით დაიწყო ჟურნალისტური კარიერა. შემდეგ იყო გაზეთი „გუდოკი", ბოლო 28 წლის მანძილზე კი, 1985 წლამდე, რედაქტორობდა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისს".

— **დღეს რატომღაც თქვენი გვარი აღარ გვხვდება პრესის ფურცლებზე, აღარ გსურთ წერა?**

— არა, საამისოდ ჯანმრთელობაც არ მიწყობს ხელს. თუმც არც დღეს ვთვლი თავს საზოგადოებისგან მოწყვეტილად. ჟურნალისტის პროფესიას უთუოდ ის ხიბლიც აქვს, რომ ძალზე მრავალფეროვანია, უამრავ პიროვნებებთან გიხდება ურთიერთობა, ბევრ რამეს წერ, ბევრსაც მეხსიერება ინახავს და სწორედ ეს მეხსიერება გეხმარება მარტოობის ჟამს. აი, კიდევ ეს ფოტო ალბომიც დაათვალიერეთ. თქვენ აქ ბევრ საინტერესო ფოტოს იხილავთ. ვის არ ნახავთ აქ — მსახიობიდან დაწყებული პოლიტიკური მოღვაწეებით დამთავრებული.

— **ბატონო პავლე, თქვენ ბევრ ჟურნალისტს დაულოცეთ გზა ცხოვრებაში. ვის გამოარჩევდით მათში?**

— ნება მიბოძეთ არ გიპასუხოთ, მე ისინი ყველანი ძალიან მიყვარს.

დრო გადის. ბევრი რამის გადაფასება ხდება. ბევრი რამ ვერ უძლებს დროის გამოცდას, მხოლოდ კარგი კაცობა და ადამიანებთან ურთიერთობებში ჩაღვრილი სითბოა უკვდავი. ამიტომაც გეტყვით: ჩვენც გვიყვარხართ, ბატონო პავლე.

ესაუბრა
ეკა ლეჟავა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ულოცავს რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს პავლე ასლანიდის დაბადების 75 წლისთავს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სურათზე: პავლე ასლანიდი, გადაღებულია 1981 წელს.

ჩვენს მკითხველებს!

გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ძვირფასო მკითხველო! ამ ბოლო ხანს კატასტროფულად გაზრდილი სასტამბო-საგამომცემლო ხარჯები, სამწუხაროდ, გვაიძულებს, რომ შარშან ოც კაპიკობაზე გამოწერილი ჩვენი გაზეთი ხელმომწერებს 1 აგვისტოდან ველარ მოგაწოდოთ. ამიტომ დიდი ბოდიშის მოხდით და გულრწფელი თხოვნით მოგმართავთ, რომ სწორად გაგვიგოთ და ვისაც გსურთ 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე კვლავ მიიღოთ ჩვენი გაზეთი, 21 ივლისამდე გააფორმოთ ახალი ხელმოწერა.

წლის დამლევამდე ხელმოწერის ფასი 110 მანეთია. ხელმომწერებს გაზეთის ეგზემპლარი 1 მანეთი დაუჯდებათ, ჯიხურში კი ფასი 2 მანეთი იქნება. ხელმოწერით ჩვენი გაზეთი ყველაზე იაფი გამოცემაა. თანადგომისათვის წინასწარ გიხდით მადლობას

იჩქარეთ!

სავალუტო ლატარია

გათამაშება — 19 სექტემბერს

ამერიკული „ფორდ-ფესტივას“ ავტომობილის, იმპორტული ვიდეო და აუდიოტექნიკის, 15 ათასიდან 100 ათას ამერიკულ დოლარამდე მოგების მფლობელი შეიძლება გახდეს ის, ვინც შეიძენს პირველი ექსპერიმენტული სავალუტო ლატარიის ბილეთებს. ისინი იყიდება თბილისის, ბათუმის, ფოთის, გორის, ქობულეთის, რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა ქალაქების ცენტრალურ შემნახველ ბანკებში. ტირაჟი ლატარიისა, რომელსაც აწყობენ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სრულიად საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საზოგადოება „დემოგრაფია და ქველმოქმედება“, გაიმართება მიმდინარე წლის 19 სექტემბერს თბილისში.

— ერთი ლატარიის ბილეთის ღირებულება ორი ამერიკული დოლარია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ კახა პოპიაშვილმა. — მაგრამ, მისი ყიდვა შეიძლება მანეთებითაც დოლარის საბაზრო კურსის მიხედვით.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ხალხური სიბრძნის წყაროსთვალი

როგორ მოგვენატრებია ასეთი დღესასწაულები, რომლის გმირი ძირძველი ქართული მელოდია და ცეკვაა — წინაპრების მიერ ნასათუთევი და საუკუნეებს გამოტარებული შეუდარებელი განძი. ამ მონატრების დასტურად იქცა ქართლ-კახური ფოლკლორის ზეიმი, ამას წინათ რომ გაიმართა მცხეთაში. აღმოსავლეთ საქართველოს თვრამეტი რაიონის მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივებმა — ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა და ინსტრუმენტულმა ჯგუფებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა და სახალხო მთქმელებმა ერთხელ კიდევ აზიარეს მრავალრიცხოვანი მსმენელი ხალხური სიბრძნის წყაროსთვალს, რომელშიც განივთებულია ჩვენი ერის ნიჭი და ხასიათი.

მცხეთის თეატრონის სამ სხვადასხვა პავილიონში გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის რეგიონების მთისა და ბარის წარმომადგენლები. ფოლკლორული დღესასწაული დაამშვენა სპორტსმენთა გამოსვლებმა: მოჭადრაკე ქეთევან კახიანმა გამართა თამაშის ერთდროული სეანსი, მძლეოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მკლავჭიდში, ჭიდაობაში...

ეს იყო ჭეშმარიტი სახალხო ზეიმი, რომელიც მოეწყო მცხეთის კულტურის განყოფილების ინიციატივით და გამგებლობის დიდი მხარდაჭერით.

კარიერები კვლავ ამოქმედდა

დუშეთის რაიონში მდინარე არაგვის გაყოლებით დაიკეტა წინათ მოქმედი ინერტული მასალების ათობით კარიერი. და მხოლოდ სამ მათგანზე, რესპუბლიკაში დაკანონებული სამართალდაცვითი ნორმების გათვალისწინებით რაიონის ხელმძღვანელობამ სთხოვა საქართველოს ბუნების დაცვის სამინისტროს დაერთო მისი ხელმეორედ გახსნის ნება.

მოპოვებული ინერტული მასალების მთელ მოცულობას სამშენებლო ორგანიზაციები გამოიყენებენ დუშეთის რაიონის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის. იქვე, გარემოს დაცვის ინტერესებისათვის, დაიკეტა ორიდან ერთ-ერთი ასფალტ-ბეტონის ქარხანა, რომლის ეკოლოგიური მაჩვენებლები მოწმობდნენ, რომ ეს საწარმო ვერ იყო სრულყოფილი.

სიკეთის თესლი

გულმოწყალება ღვთიური გზაა

მოსკოვში წმინდა გიორგის ქართულ ეკლესიასთან უკვე მეორე წელიწადია ოფიციალურად მოქმედებს საეკლესიო თემი, აგრეთვე საეკლესიო საბჭო, რომელსაც სათავეში უდგას ქართული ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი დიმიტრი. ამ ეკლესიის მსახურთა კეთილ საქმეებზე მიამბო აკადემიკოს ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ალექსანდრე პოტაპოვმა, თვითონ გავხდი იმის მოწმე, თუ როგორი გახარებული იყო ქართული ეკლესიის წარმომადგენელთა ყურადღებითა და ზრუნვით ინსტიტუტის მედპერსონალი, რომელიც სერიოზული სნეულებით შეპყრობილ ბავშვებს გადასცემდნენ ჰუმანიტარულ დახმარებას. და ყველაფერი ეს ისე ლამაზად კეთდებოდა, როგორც ჭეშმარიტ ქართველ ქრისტიანს შეშვენოდა.

გულმოწყალების სწორედ ამ შესანიშნავმა ფაქტმა მიმიყვანა საქართველოს კულტურულ ცენტრ „მზიურში“, სადაც დროებით ბინადრობენ ღვთისმსახური დიმიტრი სამადბეგიშვილი და ქართული საეკლესიო თემის წევრები.

— მამაო დიმიტრი, თუ შეიძლება გვიამბეთ, როგორ მოხვდით მოსკოვში?

— როგორც ცნობილია, მოსკოვში ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ბატონიშვილმა გიორგიმ ააგო წმინდა გიორგის ტაძარი. მაშინ ქართველი ახალმოსახლენი ცხოვრობდნენ. და აი, 1990 წლის დეკემბერში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსი II და უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II შორის მოლაპარაკების შედეგად, დაიწყო მოსკოვის წმინდა გიორგის ტაძრის აღდგენა. მე მერგო დიდი პატივი, ვიყო ამ ისტორიული ტაძრის წინამძღვარი.

— ტაძარი ჯერჯერობით არ გახსნილა, რას საქმიანობთ ამჟამად?

— დიახ, სამწუხაროდ, ამ ისტორიულ ტაძარში დღემდე მოთავსებულია მოსკოვის სალამოს ელექტრომექანიკური ტექნიკუმი, თუმცა ქალაქის ხელისუფალთა გადაწყვეტილებით იგი მალე სხვაგან გადავა. მისი გახსნის დღეს მოუთმენლად ველოდებით, მანამდე კი საგანმანათლებლო საქმიანობას და ქველმოქმედებას ვეწევი. კარგია, რომ აქვე, არბატზეა ქართული საბავშვო ბაღი და გიმნაზია. ბავშვებსა და ყმაწვილებს ღვთისმეტყველებას ვასწავლი.

პატრიარქ ალექსი II კურთხევით პატივი დამდეს და მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საქველმოქმედო კომიტეტის წევრად ამირჩიეს. ეს კომიტეტი ეკლესიების მსოფლიო საბჭოს შემადგენელი ნაწილია...

— ვინ დგას თქვენს გვერდით ამ კეთილშობილურ საქმეში?

— ამ მხრივ ბედმა გაგვიღიმა. საეკლესიო საბჭოს წევრები არიან ჭეშმარიტი ქრისტიანები — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული დევი იტრიელი, პროფესიით ფიზიკოს-მათემატიკოსი ლადო სურამელი, (ამასთან იგი ნიჭიერი კომპოზიტორია. მისი მუსიკა და სიმღერები გრამფირფიტებზეა ჩაწერილი), ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ ბერიძე. თითოეული მათგანი მზად არის აკეთოს სიკეთე, სითბო მოუტანოს ადამიანებს...

ახლახან ჩვენთან იყო დევი იტრიელი. მოიტანა ყოფილი სპორტსმენების, ამჯერად, სამწუხაროდ, ინვალიდების სია. მათ შორის შეხვდებით მსოფლიო, ოლიმპიურ ასპარეზობათა, ევროპის მრავალგზის ჩემპიონთა გვარებს. დღეს ჩემი კეთილი თანაშემწეები ჰუმანიტარულ დახმარებას შინ მიუტანენ სპორტსმენ-ინვალიდებს.

— მამაო დიმიტრი, თუ შეიძლება, გვიამბეთ საკუთარ თავზე?

— დავიბადე 1955 წელს, მცხეთის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ვსწავლობდი მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, ხოლო შემდეგ ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღმოსავლეთის ეკლესიების ინსტიტუტში. 1982-89 წლებში ღვთისმსახურებას ვეწეოდი ქაშვეთის ტაძარში...

— მითხრეს, რომ თქვენ ხელოვნების შესანიშნავი მცოდნე, კარგი სპორტსმენი ბრძანდებით, ბევრგან გიმოგზაურიათ, უცხო ენები გცოდნიათ.

— საინტერესოა, ჩემი ქებით ესოდენ ვინ შეიწუხა თავი. ბავშვობაში გატაცებული ვიყავი მხატვრობით, ძერწვით, მიყვარს ცხენოსნობა და ჩოგბურთი. ვცდილობ შევინარჩუნო ფორმა. ვმონაწილეობდი ბევრ საზღვარგარეთულ საეკლესიო სიმპოზიუმში. გერმანიის აღმოსავლეთის ეკლესიების ინსტიტუტში სწავლის პერიოდში პატივი მქონდა პირველი ღვთისმსახურება შემესრულებინა პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში მისი წინამძღვრის გარდაცვალების შემდეგ. ვიცი გერმანული.

მოსკოვსა და მის ოლქში, ჩვენი მონაცემებით, ამჟამად 20 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. რუსეთში არ არის ქართულენოვანი მართლმადიდებლური ეკლესია. ჩვენი მიზანია მოსკოვში აღვადგინოთ არა მარტო ისტორიული ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, არამედ გავაერთიანოთ ყველა მართლმადიდებელი ქართველი, შევქმნათ ქართული გიმნაზია, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო საგნებთან ერთად ჭაბუკები და ქალიშვილები ქართულად შეისწავლიან ღვთისმეტყველებას, ქართული ეკლესიის ისტორიას.

გვექნება საკუთარი სტამბაც, გაზეთიც. მხარში გვიდგას მოსკოვის მთელი ქართული სათვისტომო, ყველა კეთილი ქრისტიანი. რა უნდა იყოს იმაზე უფრო კეთილშობილური მიზანი, ვიდრე სამშობლოდან შორს მცხოვრებ ქართველთა შორის ეროვნული სულის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების აღორძინებაა.

— მადლობას გიხდით საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებებს.

— ღმერთი არს ჩვენთან!

ლევან დოლიძე.
მოსკოვი-თბილისი.

ეს ჩვენი საქართველოა!

რეპეტიციაზე (ნინო რამიშვილი).

სიმონ კილაძის ფოტო.

რედაქციის სტუმარი

გუშინ რედაქციას სტუმრად ეწვია ამერიკელი ჟურნალისტი, ლოს-ანჯელესში გამომავალი ჟურნალის „აიმის“ („არმენიან ინტერნაციონალ მეგეზინის“) კორესპონდენტი ტონი შელპინი.

იგი ამიერკავკასიაში მოგზაურობს სპეციალური მისიით — მოამზადოს ვრცელი მიმოხილვითი მასალა აქაურ პოლიტიკურ მოვლენებზე.

სტუმარი, კერძოდ, დაინტერესდა საქართველოს ვითარებით, მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური პროცესებით, აგრეთვე ჩვენი გაზეთის რედაქციის ორგანიზაციული სტრუქტურითა და შემოქმედებითი კოლექტივის საქმიანობით.

სურათზე: ტონი შელპინი სტუმრად „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში.

თემო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ახალი გაზეთი

გამოვიდა დამოუკიდებელი სამეცნიერო-პოპულარული გაზეთი „ფენომენი“.

გაზეთის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია გიგლა გობეჩია.

ცვლილებები „დინამოში“

ფეხბურთელებს საზაფხულო არდადეგები დაეწყოთ, მაგრამ საქართველოს უძლიერესი და ყველაზე პოპულარული კლუბი, რომელმაც დაიბრუნა ის ძველი სახელი, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში რომ იცნობენ და უყვართ — თბილისის „დინამო“, ემზადება პასუხსაგები მატჩებისათვის — აგვისტოში შედგება მისი დებიუტი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. სწორედ ამიტომ უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს „საკადრო საკითხები“, რომლებიც ტრადიციისამებრ წყდება სეზონებს შორის პერიოდში.

გუნდს, ალბათ, დატოვებს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი კახი კაჭარავა. იგი აპირებს გაემგზავროს კვიპროსში, გამოვიდეს იმ კოლექტივის შემადგენლობაში, რომელსაც დავით ყიფიანი ხელმძღვანელობს. სამაგიეროდ, დინამოელთა რიგებს შეავსებს ექვსი ახალწვეული უმაღლესი და პირველი ლიგებიდან. ესენი არიან მეკარე ირაკლი ზოიძე „ქუთაისიდან“, მცველები ბესიკ ბერაძე წყალტუბოს „სამგურალიდან“ და გოჩა ჭოჭამშვილი თბილისის „მერნიდან“, ნახევარმცველები გიორგი ანჩაბაძე და გიორგი ქინქლაძე, თბილისის კლუბებიდან „შევარდენი-1906“ და „მრეტები“, აგრეთვე თავდამსხმელი ბადრი კვარაცხელია, რომელიც წალენჯიხის „სქურის“ ღირსებას იცავდა. ყველა ეს ფეხბურთელი საქართველოს სხვადასხვა ნაკრების გუნდის კანდიდატია და ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზია აქვს.

ცვლილებები მოხდა „დინამოს“ მწვრთნელთა რიგებშიც. მურთაზ ხურცილავა, რომელსაც დიდხანს არ უმუშავია კლუბის ტექნიკურ დირექტორად, გადავიდა „შევარდენი-1906“ გუნდში, სადაც ამიერიდან უფროსი მწვრთნელი იქნება. კვიპროსში მიემგზავრება მეორე მწვრთნელი ნოდარ აკობია. მათ ნაცვლად გუნდში მოიწვიეს მერაბ ჟორდანია და ვაჟა ჟვანია, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ წარმატებით გამოდიოდნენ დინამოელთა რიგებში.

რეკლამა • განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ინდუსტრიული კოლეჯი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის (არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ბაზაზე) დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

I — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე

1. ბიოქიმიური წარმოება.
სპეციალიზაცია. ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება.
2. გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე.

II — სრული საშუალო სკოლის ბაზაზე

1. ბიოქიმიური წარმოება
სპეციალიზაცია:
ა. ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება,
ბ. სპირტისა და ლიქიორ-არაყის წარმოება.
2. გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე
3. ავტომობილებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება
4. აეროდრომებისა და საავტომობილო გზების მშენებლობა, ექსპლოატაცია და შეკეთება.
5. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა.
6. ქიმიური და ნავთობგაზგადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება.
7. თბოტექნიკური მოწყობილობისა და თბომომარაგების სისტემების ექსპლოატაცია.

კოლეჯში ექსპერიმენტის წესით (სრული საშუალო სკოლის ბაზაზე) 3 სპეციალობაზე ბიოქიმიური წარმოება, გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე და „ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა, მომზადდებიან ამაღლებული დონის სპეციალისტები, რომლებსაც სრული კურსის დამთავრების შემდეგ მიენიჭებათ უმცროსი ინჟინრის კვალიფიკაცია.

კოლეჯში საბუთები მიიღება 31 ივლისამდე. ყოველდღე (გარდა კვირისა) 10-დან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები — 1-დან 20 აგვისტომდე.

კოლეჯში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დედანი), ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 086 უ), ექვსი ფოტოსურათი (3X4), პასპორტს ან დაბადების მოწმობას და სამხედრო ბილეთს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

არასრული საშუალო სკოლადამთავრებულთათვის მისაღები გამოცდები ყველა სპეციალობაზე ჩატარდება შემდეგ საგნებში:
ა. ქართულ ენაში (წერა) წაკითხული ტექსტის შინაარსი
ბ. მათემატიკაში (ზეპირი).

საშუალო სკოლადამთავრებულთათვის,
ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) ყველა სპეციალობაზე,
ბ. ქიმია (ზეპირი) — ბიოქიმიური წარმოების სპეციალობაზე,
გ. მათემატიკა (ზეპირი) ყველა დანარჩენ სპეციალობაზე.

სასწავლებელი სახელმწიფო დაწესებულებაა და სწავლა სახელმწიფო ხარჯზე მიმდინარეობს, ყოველთვიურად მოსწავლეებს ეძლევათ სტიპენდია, რომელიც დამაკმაყოფილებელი მოსწრებისათვის 300 მანეთია, ხოლო ფრიადოსნებისათვის 350 მანეთი.

თქვენთვის საჭირო დამატებით ცნობებზე ამომწურავი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ კოლეჯის მიმღებ კომისიაში.

მისამართი: თბილისი, თემქის დასახლება, II მიკრორაიონი, III კვარტალი, თბილისის ინდუსტრიული კოლეჯი.

ტელეფონი: 62-84-68, 62-68-06, 62-25-78.

ტრანსპორტი: მეტროს სადგური თემქიდან 8 ან 4 ნომერი ტრამვაი, ბოლო გაჩერებამდე, ავტობუსი 209 და გადასასვლელი ხიდიდან ავტობუსი № 202.

მიმღები კომისია.

თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

დღის განყოფილება

საშუალო სკოლის ბაზაზე

II კურსზე — ამაღლებული დონის კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადება. ექსპერიმენტის წესით (კოლეჯის პროგრამით.)

1. ავტომობილმშენებლობა — (ქართული სექტორი)
2. ავტომობილებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება და რემონტი (ქართული სექტორი).
3. პროგრამული მართვის ჩარხებისა და რობოტტექნიკური კომპლექსების ტექნიკური მომსახურება (ქართული და რუსული სექტორები)
ა) ავტომატიზებულ წარმოებაში პროგრამული მართვის ელექტრონული სისტემების გაწყობა და ექსპლუატაცია (ქართული სექტორი).
4. სამედიცინო ტექნიკის მონტაჟი, ტექნიკური მომსახურება და რემონტი (ქართული სექტორი)
5. შედუღების წარმოების ტექნოლოგია (ქართული სექტორი)
6. ხის დამუშავების ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

ამაღლებული დონის სპეციალისტთა მომზადების ექსპერიმენტულ ჯგუფებში ჩარიცხული აბიტურიენტები ისწავლიან ეტაპობრივად.

I ეტაპი — ჩარიცხულები სწავლობენ ტექნიკუმის პროგრამით 2 წელი და 8 თვე და დაამთავრებენ სასწავლებელს ტექნიკოსის წოდებით.

II ეტაპი — პირველი ეტაპის (ტექნიკუმის) წარჩინებით კურსდამთავრებულნი შერჩეული იქნებიან ექსპერიმენტულ ჯგუფებში. სწავლის გასაგრძელებლად, სწავლის ხანგრძლივობა ამ ჯგუფებში ერთი წელია, რომლის შემდეგ მათ მიენიჭებათ უმცროსი ინჟინრის წოდება.

დაუსწრებელი განყოფილება

II კურსზე — საშუალო სკოლის ბაზაზე — ტექნიკუმის პროგრამით (ქართული და რუსული სექტორი)

1. პროგრამული მართვის ჩარხებისა და რობოტტექნიკური კომპლექსების ტექნიკური მომსახურება.
2. ხის დამუშავების ტექნოლოგია
3. ავტომობილების და ძრავების ტექნიკური მომსახურება და რემონტი

ყველა სპეციალობაზე შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში — წერა (თხზულება) და მათემატიკა (ზეპირი)

მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ დირექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის ზუსტი მითითებით. განცხადებას უნდა დაერთოს:

1. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი)
2. სამედიცინო ცნობა (№-086 უ)
3. 6 ცალი ფოტოსურათი (უქუდოდ, 3X4 სმ)
4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო მოწმობას.

განცხადებები მიიღება — 30 ივლისამდე, ყოველდღე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

მისაღები გამოცდები — 1992 წლის 1 აგვისტოდან.

მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. № 70, ტელ.: 95-21-43; 95-46-65;

კავკასიის ბირჟა

არის პირველი ასეული!

16 ივლისს, 11 საათზე „კავკასიის ბირჟაზე“ გაიმართება ღია ვაჭრობა.

საიუბილეო ვაჭრობაზე ვიწვევთ „კავკასიის ბირჟისა“ და სხვა ბირჟების საბროკერო და სადილერო ფირმებს.

ვაჭრობაზე გამოიტანენ სათბობს, საშენ მასალას, მატყლს, მარცვლეულს, უახლეს გამოთვლით ტექნიკას, სხვა საქონელს.

დაფუძნების დღიდან „კავკასიის ბირჟა“ შეუფერხებლად მუშაობს:

— არ გაცდენილა არცერთი ვაჭრობა;

— განუწყვეტლივ საქმიანობს 300 საბროკერო ფირმა;

— პირველი დივიდენდები მიიღეს ბირჟის აქციონერებმა.

„კავკასიის ბირჟა“ მუშაობს პრინციპით: სწორი და ეფექტური საქმიანობით უზრუნველყოს თავისი აქციონერების, ბროკერების კეთილდღეობა და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებას.

„კავკასიის ბირჟის“ მისამართია: ვაჟა-ფშაველას 72. ტელ.: 30-

გამოსათხოვარი

კანდიდ გოგუა



კიდევ ერთი მამულიშვილი შეიწირა სამეგრელოში გაჩაღებულმა უაზრო სისხლისღვრამ.

1992 წლის 8 ივლისს ჩხოროწყუ-წალენჯიხის გზაზე სოფელ ჭკალთან შეიარაღებული ბანდის თავდასხმის შედეგად დაიღუპა ჩხოროწყუს ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. კანდიდ გერასიმეს ძე გოგუა.

წავიდა ჩვენგან ვაჟკაცური ენერგიით სავსე, ერუდირებული, თანამემამულეთა სიყვარულით ანთებული პიროვნება, რომელსაც ჩვენი რაიონის სასიკეთოდ მრავალი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი.

ქ. გოგუა დაიბადა 1940 წლის 8 ნოემბერს ს. ნაფიჩხოვოში, ორი წლისა იყო, მამა ომში რომ დაეღუპა.

1959 წელს სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქ. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტზე. 1976-1980 წლებში სწავლობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში დაუსწრებლად.

1985 წელს დაიცვა დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სოფლის მეურნეობის ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე გამოქვეყნებული ჰქონდა 20-მდე სამეცნიერო და 20-ზე მეტი საგაზეთო სტატია.

შრომასა და მუყაითობას ბავშვობიდანვე ეზიარა. 1959 წლიდან მუშაობდა ნაფიჩხოვოს კოლმეურნეობაში ჯერ ფიზიკურად, შემდეგ ბრიგადირად, მერე კი მოანგარიშედ. 1965-1977 წლებში მთავარ ბუღალტრად იმუშავა ს. პირველი და მეორე ჭოლის, ზუმის „საქართველოს“ კოლმეურნეობებში, ჩხოროწყუს საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობაში და შეთავსებით — მასწავლებლად ჩხოროწყუს მექანიკურ ტექნიკუმში. 1977 წლიდან სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული განყოფილების უფროსი იყო.

1992 წლის 7 მარტს ჩხოროწყუს ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს. მთელი სიცოცხლის მანძილზე შეუპოვრად ებრძოდა საზოგადოებაში ფეხმოკიდებულ ნეგატიურ მოვლენებს, რის გამოც უძრაობის წლებში დევნას და შევიწროვებას განიცდიდა. ამჯერადაც იგი არჩეული გზის ერთგულებას, პრინციპულობასა და პირდაპირობას შეეწირა.

საქართველომ დაკარგა შესანიშნავი მოქალაქე, სახალხო საქმისათვის თავდადებული მოღვაწე, ხუთმა შვილმა — მზრუნველი მამა.

მისი სახელი სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ჩხოროწყუს ადგილობრივი მმართველობის გამგეობა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე

აკაკი გრიგოლის ძე პარანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი 0488.

X/X